

მიხედვები მინსკ; მინსკ დაგეპურებთ და გაფარმობთ ოქცენტ!

+375-29

Agro News.ge

# მარცხენა სამართლებრივი

ISSN 1987-8729



9 771 987 872 003

სამარცხენა-სამართლებრივი ჟურნალი

№4 (92), აპრილი, 2019

## SUMIAGRO



### 01 აპრილი პომარია სუმიაგრო შპვე საქართველოში

დარეგისტრირებულია პრეპარატი  
ფუნგიციდი მილიპარატი (ნატრიუმის  
ფოსფატი 250 მ/ლ + ციაზოფამილი 25 მ/ლ)  
შრაპის და ვენაცის სასუქის საჭკეთასო  
ერთობლივი ფორმულა.

ხარჯვის ნორმა 1,5-4 ლიტრი 1 ჰექტარზე.

შპს „აგროცენტრი“  
ელ.ფოსტა: bari2003@mail.ru  
[www.Agrocenter.ge](http://www.Agrocenter.ge)

„სუმიაგრო“-ს რეგიონალური მენეჯერი ბადრი გიქოშვილი  
ტელ.: 597 99 29 23



**AgroVitae**

# მცენარეთა დაცვის პიოლოგიური საშუალებები




1. ალიკა – თხევადი ზღვის-ნყალმცენარეების ექსტრაქტი, ზღვის ნყალმცენარეების ოლიგოსაქარიდი – 2-6%; ორგანული ნივთიერება – 15%; საერთო აზოტი – 0,5%; ფოსფორი – 0,05%; კალიუმი – 5%. დაშვებულია ორგანულ მეურნეობაში გამოსაყენებლად.



2. ბიონიკ ცK – ნყალმცენარეების ექსტრაქტი; ოლიგო-საქარიდები – 2-5%; მცენარეული ამინო მჟავები – 1-2%; ქიტოზინი – 2-5%. დაშვებულია ორგანულ მეურნეობაში გამოსაყენებლად.




4. ბოუნდერი – ორგანულ აზოტოვანი სასუქი, დაშვებულია ორგანულ მეურნეობაში გამოსაყენებლად. აქვს ინსექტიციდურ-აკარიციდული მოქმედება: თრიფლების, მწვანე და შავი ბუგრების, პომიდვრის მენალმე ჩრჩილის, ხეხილის ნითელი ტკიპას, ვაშლის ნაყოფჭამიას ნინაალმდეგ. შემადგენლობა: ორგანული აზოტი – 1,5%; ორგანული ნახშირბადი – 10%; ნედლეული: ყავისფერი ნყალმცენარეების საფუარის ექსტრაქტი.



3. ბლოკსი – ორგანულ აზოტოვანი სასუქი. აქვს ფუნგიციდური მოქმედება ჭრაქისა და ნაცრის წინაალმდეგ. დაშვებულია ორგანულ მეურნეობაში გამოსაყენებლად. შემადგენლობა: ორგანული აზოტი – 1,7%; ორგანული ნახშირბადი – 10%; ნედლეული: ყავისფერი ნყალმცენარეების საფუარის ექსტრაქტი.

5. ბუარუმ MZ – გამოიყენება სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების წინაალმდეგ. შემადგენლობა: სპილენძი – 25,3%; მანგანუმი – 0,7%; თუთაია – 0,5%. დაშვებულია ორგანულ მეურნეობაში გამოსაყენებლად.





## ახალი აგრარული საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-  
საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine  
აპრილი, 2019 ნომები.

№4 (92)

### სარედაქციო კრიტიკა:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),  
ნუგბარ ებანიძე, რეზონ ჯანიშვილი, მახელ  
სოხაძე, თამარ სანიაძე, რუსულან გოგა-  
შვილი, (კრისტენტინგი), თოონა ჩიხაძე,  
ნუგბარ იქრიაძინძე, ნილარ ბრეგვაძე,  
ბექა გონატელი, გორიგ ბარისაშვილი  
(მეცნიერება-მეცნიერების რედაქტორი),  
დავით ბირკაძე (რედაქტორი),  
მაღალ სამართლებრივი  
(ეკ. უწყრალ agronews.ge-ს კონსულტანტი)  
თამარ გუგუშვილი (ინგლ. ქარ. რედაქტორი).  
editor of English version Tamta Gugushvili

### სამეცნიერო საბჭო:

აკადემიურები, მეცნიერებათა  
დოქტორები, პროფესორები:

რეზონ მახარიძლიძე, თავაძე გუგუშვილი,  
გურამ ალექსიძე, ზურა ფუტკარაძე,  
ნილარ ჩხატაძიშვილი, ნუგბარ ებანიძე,  
პატრა კოლუმბიანი, ელგუჯა მაფუძიძე,  
ზეიად ბრეგვაძე, ელგუჯა გუგუშვილი,  
გოგოლა მარგელაშვილი, ანა გულბანი,  
ლევან უჯამარიძე, ზურა ჯურაშვილი,  
ზურაბ ჯიჯხაძე, ქრისტინა გაბანიძე,  
ადოლ ტექქელაშვილი, ნატო კაცაძე,  
კაცაძე ქარი, ქახა ლაშხი, ჯემალ  
კაციტაძე, ნუკრი მემარინშვილი, ნიკოლოზ  
ზავაშვილი, მიხეილ ჭავჭავაძე, ლაიკ  
ბოსტმედოვა, იოსებ სირჯველიაძე, ნუგბარ  
სარჯველაძე, თენგიზ ურაშვილი, ანატოლი  
გორგაძე, ლევან თორთლაძე, ზურაბ  
ლორძე, კობა კობალაძე.

დააკადონა გორგი მაისურაძემ

უწყრალი ხელმძღვანელობს  
თავისუფალი პრესის პრინციპით.

The journal acts in accordance with  
the principles of free press.  
© სავტორო უფლება დაცულია.  
All rights reserved.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა  
„ვერიული“  
(იორულ ბაზისთვე)

[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)

ახალი აგრარული საქართველო  
დაიბეჭდა შპს „გამოცემლობა გრიფონში“

### გამოცემები:

„აგრარული სექტერის  
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);

Association of Agrarian Sector Companies (ASCA).  
საქართველოს რეგიონული ეკონომიკური  
პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“;  
Regionica — Georgian Research Center for Regional  
Economic Priorities.

### რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53  
ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00  
599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

[www.agronews.ge](http://www.agronews.ge)  
ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com

## ნომერი 7 წლიური საინფორმაციო ჟურნალი



4

### თხილის გაღის მოვლის სევა ფაცე-ფაზების მოხადვით

ნუ დაეყრდნობით არასპეციალის-  
ტების ზეპირ რჩევებს თუ მითითე-  
ბებს. მიმართეთ სპეციალისტებს, შე-  
საბამის სამსახურებს.



5

### ვაზის ტირილი, კვირტის გაგლა, ვაზის ჰავავილობა

ვაზის წვენი (ცრემლი) წარმოადგენს  
თითქმის სუფთა წყალს. ერთ ლიტრ  
წვენში არის მხოლოდ 1-2 გრ. მშრალი  
ნივთიერება, რომელთა შორის არის  
ორგანული ნაერთები (მაქერბი, აზო-  
ტი) და მინერალური ნივთიერებები.



27

### კაჯანი [CARYA PECAN]

კაჯლის გული შეიცავს 80% ცხიმს,  
11,3% ნახშირნებს 10,3% პროტე-  
ინს. ნაყოფი გამოიყენება საკონდიტ-  
რო წარმოებაში, კულინარიაში.

შურალი „ახალი აგრარული საქართველო“ 2009 წლიდა.  
სამაცნეო სტატიის მოცულობა ინტენსიური რეზონის და  
გამოყენებული ლიტერატურის თანხლავით არ უნდა აღმართოს  
1,5 ინტერვალით, სილვაზი 12 ზომის შრიცვით ნაგეზდ თაბახის  
7 (შვილ) გვირდს.

### წევნი რეკონსტიური:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი  
(უურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ გამომცემელი)  
„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“  
ს/ს 404856483  
ს/ს „ბაზისბანკი“ BASGE22(220101956)  
ა/ს GE23BS0000000034536405  
მის: თბილისი, გორგასლის ქ. 51

7 აუგვის მოვლის წარსელს,  
ვიზუალური მოგვიანების მიზანის სამართლის

საქართველოში დასახულ  
გრუნტზე განვითარებულ კულტუ-  
რების კრიტიკული მოხადვების წილის გაზრდის წილის გაზრდები

12 ეკონომიკური რეზონის და განვითარების უსახელოების გაზრდის წილის გაზრდები

12 ფაცე-ფაზების მიზანის და განვითარების უსახელოების გაზრდის წილის გაზრდები

13 მოვლის და საქართველო;  
გასორინებულის თავსამომრევა  
გაზრდის გაზრდების გაზრდები

21 რაზელი ფარა უვისარის და  
ტემოდერმიზის და სტანდარტის

21 მოვლის მოვალეობა  
მოვალეობა და მიმღებლის მოვალეობა  
23 მოვლის მოვალეობა სათაურო  
ამონტის მოვალეობა და ერთობების ეფექტური მოვალეობა

25 მარტის მოვალეობა სებსტრატის  
კვლები

26 ების ვალის კიბები, გაღის გავარება,  
მოვლა-კატარონება

30 ფაცე-ფაზი - საუკათასო საკვები  
და თაფლივანი მცველი

31 ეთერვარი TAXUS BACCATA

32 ქარი (კორპილი) საცავის დაცვადა  
სარეველის წილის გაზრდები

32 გაევო კითხვა აგროცომათან?

33 გაევო კითხვა ვაპერისართან?  
ბიოლოგიკის გაცვენება  
დოკტორი, აროფერი ერთსიმო  
კავების გაცვენება და გადამზადება  
34 70-ის კულტურის გადამზადება



## თხილის პალის მოვლის სეამ ფანტ-ფაზების მიხადვით

თხილის მცველის პილოლგიური თავისებურებიდან გამომდინარე სამრავლებრივ პალის საჭირო აღრი-ღონისძიების გათარება მოსავლის აღებიდან 20-25 დღის შემდეგ იწყება.

### მოსავლის აღების შემდგომ ფოთლების დაცვანამდე

აღების დროს (კრეფა ფერთხვა) დაზიანებული ადგილებში რაიმე ინფექციის აცილების და დაავადება-მავნებლებისაგან დაცვის მიზნით თხილის ბალი პესტიციდებით, სპილენძშემცველი ფუნგიციდით+ინსექტოციდით მუშავდება.

„იროკო“ 500-1000 გრ., ან „ეოსაიდი“ 500-750 გრ. + ფოსფორ-ორგანული ჯგუფის პრეპარატი „ნურელ დ“, ან „სუპერკილ ფორტე“ 150-200 მლ., ან დელტამეტრინის ჯგუფის „დეცი-სი“ 150-200 მლ. 100ლ. წყალში

### ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი

თხილის მავნებლები, რომლებიც ამ პერიოდში იზამთრებენ (ჭუპრის, კვერცხის, მატლის, იმაგოს) ფაზაში გვხდება მცენარის შტამბზე, ვარჯზე, ქერქში, ნაპრალებში, ჩამოცვენილ ფოთლებში, ნიადაგში. საჭიროა გავატაროთ როგორც მცენარის ვარჯის ისე ნიადაგის ზედაპირული ერთდროული ქიმიური დამუშავება (შენამ-ვლა).

ინსექტო-აკარიციდი მინერალური ზეთი „სიძკამოლი“, ან „ოვიპირ-ნი“, ან ქეი 2ლ. + „ნურელ დ“, ან „სუპერკილ ფორტე“ 150-200 მლ. 100 ლ. წყალში.

არ არის აუცილებელი ჩამოცვენილი ფოთლების შეგროვება და გატანა, რადგან ამ პერიოდში ორჯერ ჩატარებული ქიმიური დამუშავება ზღუდავს მცენარის ფოთლებზე, ნიადაგზე და ნიადაგში, როგორც დაავადებებს ისე მავნებლებს. თუ შევაგროვებთ უკეთესია სადმე მოვათავსოთ და შემდგომ გამოვიყენოთ, როგორც ორგანული მსასა. რაც შეეხება დაბერებულ და მექანიკურად დაზიანებულ ტოტებს, თუ გვაქვს შესა-

ბამისი ტექნიკა, დავაქუცმაცებთ და ადგილზე ვტოვებთ, თუ ვერ ვაქუცმაცებთ, ვათავსებთ ბალის გარეთ განთავსებულ გროვაში ჩამოცვენილ ფოთლებთან ერთად.

ვახდენთ თხილის ბალში ბუჩქების ფორმირებას და ამონაყრებისგან განთავისუფლებას.

ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით ნიადაგის ანალიზის შედეგად თხილის კულტურის ქვეშ შეგვაქვს მიკროელემნტების შემცველ კომბინირებული NPK 10-26-26+მე ან NPK 8-24-24+მე და ორგანულ სასუქები. საჭიროა, როგორც ორგანული, ისე მინერალური სასუქების მოფანტვა და ჩაკეთება. შესატანი დოზა თვით მცენარის და ნიადაგის მდგომარეობიდან გამომდინარე შეგვაქვს.

### კვირაზების დაგერვამდე

სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების ნინაამლდევ ხდება ქიმიური დამუშავება სპილენძშემცველი პრეპარატი, „კოსაიდი“ 500 გრ., ან „ჩემპიონი“ 500 გრ., ან „იროკო“ 500-700 გრ., ან ბორდოს ნარევი 1-1.5 კგ. +ინსექტო-აკარიციდი „ნურელ დ“, ან „სუპერკილ ფორტე“ 150-200 მლ. 100 ლ. წყალში.

### კვირაზების გაშლა

როდესაც მცენარის ფოთლის ზომა მიაღწევს ზრდასრული ფოთლის ზომის 1/3-ს და მეტს სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების ნინაამლდევ ვიყენებთ სპილენძშემცველი პრეპარატი+ინსექტო-აკარიციდი. კოსაიდი 400გრ, ან ჩემპიონი 400 გრ., ან იროკო 400-700გრ., ან ბორდოს ნარევი 1კგ.+ინსექტო-აკარიციდი ინსეკარი, ან ზონდერი, ან ტალსტარი 150-200 მლ., ან ინსექტიციდი დეცისი 150-200 მლ. 100 ლ. წყალში.

### ნაყოფიერის გამონასაცვის პერიოდი

როდესაც დღე-დამური ტემპერატურა 12 გრადუსზე მეტია ე.ი. დღისით ტემპერატურა 20 გრადუსი და მეტია ვიყენებთ: ტოპაზი 60 მლ ან ფალკონი 50 მლ ან ტალენდო 60მლ + ინსექტო-აკარიციდი ორტუსი 200 მლ., ან ვერტიმეკი 150-200 მლ., ან 60-60 მლ ენვიდორი, ან მასა 100 ლ. წყალში.

### ნაყოფის ფორმირებისას

ნაყოფის სიდამპლეებისა და სხვა სოკოვანი დაავადებების ნინაამლდევ ვიყენებთ: „სიგიური“ – 100-150 გრ., ან „სვიჩი“ 100-150 გრ. +ინსექტიციდი „დეცის ბლუ“ – 150-200 მლ., ან „ინსექტო-აკარიციდი ორტუსი“ – 200 მლ, ან „ვერტიმეკი“ – 150-200 მლ., ან 60-60 მლ. „ენვიდორი“ 100 ლ. წყალში.

### მოსავლის აღების ნინა პერიოდი

20-25 დღით ადრე ვიყენებთ: „სტარული 80-100 მლ., ან „ტალსტარი“ 150-200-მლ+ „ტალენდო“ 50 მლ, ან „მისტიკი“ 100 მლ., ან „ტოპაზი“-50 მლ. 100 ლ. წყალში

თუ მცენარე განიცდის საკვები ელემენტების დეფიციტს, შესაძლებელია ნებისმიერ ქიმიური დამუშავებების (ნამლობის) დროს სამუშაო ხსნარს დაემატოს იმ საკვები ელემენტის შემცველი სასუქი, რომელიც მცენარეში დეფიციტშია.

-ამონიუმის გვარჯილა N<sub>3</sub>4N<sub>3</sub> 34.4%. სასურველია მთლიანი დოზა შევიტანოთ ორჯერადად 60% მარტის მეორე ნახევარი, 40% მაისის მეორე ნახევარი.

### გამონაყრითან პრძოლა

კარგია მათ ნინაამლდევ მექანიკური მეთოდების გამოყენება ბალის

მაკრატლით ხელით მოშორება ან ზურგზე მოსაკიდი საწვავზე მომუშავე მცირე ტექნიკით. თუ ამის შესაძლებლობა არ არის მაშინ შეიძლება გამოვიყენოთ ქიმიური საშუალებები. როცა ამონაყრის სიმაღლე მიაღწევს 10 სმ-ს, შესაძლებელია გამოვიყენოთ „დესიგანტი“, „ამონიუმის გლუფოსინატი“ – სავაჭრო დასახელება „ბასტა“, 1 ლ, 150ლ. წყალში, მაგრამ სასურველია, რაც შეიძლება შევზღუდოთ ჰერბიციდების გამოყენება.

### საუკეთესო შედეგს იძლევა მინერალური სასუპენის გამოყენება:

ამონიუმის გვარჯილა 1.5გ, ვხსნით 10 ლიტრ/წყალში. წყალ-ხსნარის შესურება ხდება მაშინ, როცა ამონაყრის სიმაღლე 10 სმ-ს მიღწევს. ფოთლები ერთ კვირაში ხმება. გვინდეს მინიმუმ 3-4 შესურება, არის უფრო შრომატევადი, მაგრამ სამმაგი ეფექტით, შედარებით იაფი. ხდება ამონაყრების მოშორება და ამასთანავე ნიადაგის უმნიშვნელოდ გამოკვება.

რაც შეეხება რიგთა შორის არსებულ სარეველებს მათ საწინააღმდეგოდ ჰერბიციდების გამოყენება არ არის სასურველი, საჭირო მოხდეს მისი გათიპვა და დატოვება ან ჩაკეთება ნიადაგში.

თხილის ბალებში უნდა არსებობდეს გრუნტის წყლების დგომის სიმაღლის განმსაზღვრელი ორმო (წყლის სარკე), რომლის მეშვეობით ხდება გრუნტის წყლის დონის რეგულირება.

ნუ დაეყრდნობით არასპეციალისტების ზეპირ რჩევებს თუ მითითე-

ბებს. მიმართეთ სპეციალისტებს, შესაბამის სამსახურებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონალურ სამართველოს, მუნიციპალიტეტების საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურებს, სადაც შესაძლებელია მიღლოთ კონსულტაციები და რეკომენდაციები არა მარტო თხილზე არამედ ყველა თქვენთვის საინტერესო სასოფლო – სამეურნეო კულტურაზე. ისინი დეტალურად ადგილზე შეისწავლიან თქვენს ბალში არსებულ მდგომარეობას და გამომდინარე შეგიდგენთ სამოქმედო გეგმას და მცენარის ვეგეტაციის ფენო-ფაზების მიხედვით შეგირჩევთ შესაბამის პესტიციდებს და სასუქებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ უკვე მიძრძანდეთ მცენარეთა დაცვის საშუალებების სარეალიზაციო ობიექტებში (მაღაზიებში) და შეიძინოთ მცენარეთა დაცვის პრეპარატები (პესტიციდები) და სასუქები.

სქემის კორექტირება შესაძლებელია, სპეციალისტის მიერ სხვა პრეპარატებით ჩანაცვლება და ქიმიური დამუშავების (წამლობის) ჯერადობის შემცირება ან გაზრდა.

პესტიციდებს აქვთ უნარი ტოქსიკურად იმოქმედონ არა მარტო მავნებლებზე და დავავადებებზე, არამედ ადამიანის ორგანიზმზეც. აუცილებელ პირობას წარმოადგენს, უსაფრთხოების ნეების მკაცრი დაცვა პესტიციდების გამოყენებისას. სასურველია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქიმიური დამუშავება (შენამვლა) განხორციელდეს მცენარეთა დაცვის საშუალებებთან მუშაობის გამოცდილების მქონე სპეციალისტის მიერ.

### თამაზ ზაზები

**გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერებლო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველო**



### ვაზის ტირილი, კვირტის გაუძა, ვაზის ყვავილობა

ვაზის განვითარების ნლიური ციკლი, გავენახობის ძირითად ქვეყნიში, ე.ი. ზონაში, სადაც გაგატონებულია ზომიერი და თბილი კლიმატი, გათ ზორის საქართველოში, მრ პარიზიდად იყოფა: 1) სავეგატაციო პერიოდი და 2) მოსვევების პერიოდი.

საქართველოს პირობებში ვეგეტაცია იწყება გაზიფხულზე, როდესაც ფეხვთა სისტემა ამოქმედდება, კვირტები გაიშლება და პარერის საშუალო დღელამური ტემპერატურა 10°C-ს აღწევს; ვეგეტაცია მთავრდება შემოდგომაზე, როდესაც საშუალო დღელამური ტემპერატურა 100-ზე დაბლა იწევს. მაშინ ზემოქმედების

ძალით ყლორტები წყვეტს ზრდას და იწყება ფოთოლლცვენა.

**საერთოდ კი ვაზის სავეგატაციო პერიოდი შემდეგი ფაზებისგან შედგება.**

I. ფაზა – წვენის მოძრაობა (ვაზის ტირილი) – იწყება „ვაზის ტირი-

ლით“ კვირტის გაშლის დასაწყისამდე;

II. ფაზა – კვირტების გაშლა და ყლორტების ზრდა, იწყება კვირტების გაშლიდან და მთავრდება ყვავილობის დასაწყისში;

III. ფაზა – ყვავილობა, ყვავილობის დაწყებიდან დამთავრებამდე;

IV. ფაზა – მარცვლების ზრდა;

V. ფაზა – მარცვლების მომწიფება – ყურძნის შეთვალებიდან მათ სრულ სიმწიფემდე;

VI. ფაზა – ყურძნის სრული სიმწიფიდან ფოთოლლცვენამდე.



### ვაზის ტირილი

ფაზა იწყება გამჭვირვალე სითხის ჭარბად გამოყოფით რქის გადანაჭერ ადგილზე. ვაზის ტირილი აისხნება ფესვთა სისტემის შემწოვი ფუნქციის ამოქმედებით. ფესვური წნევით სითხე გადადის ჭურჭელბოჭკოვან კონებში და იღვრება სხვლის დროს მიყენებული ჭრილობის ადგილზე.

ვაზის ტირილის დაწყება დამოკიდებულია ნიადაგის ტემპერატურასა და ტენიანობაზე. ვიტის ვინიფერას (*V. vinifera*) სახეობის ჯიშებს, მათ შორის ქართულ ჯიშებს, ტირილის ფაზა ეწყებათ, როცა ნიადაგის 40-60 სმ სიღრმეზე ტემპერატურა აღწევს 7-9°C-ს. ეს ფაზა, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, იწყება მარტის ბოლოს და მთავრდება აპრილის შუა რიცხვებში. ტირილის ფაზა შეიძლება გაგრძელდეს 9-50 დღემდე. წვენის გამონადენი ერთ ძირ ვაზზე საშუალოდ შეადგენს 1,5-3 ლიტრს.

ვაზის წვენი (ცრემლი) წარმოადგენს თითქმის სუფთა წყალს. ერთ ლიტრ წვენში არის მხოლოდ 1-2 გრ. მშრალი ნივთიერება, რომელთა შორის არის ორგანული ნაერთები (შაქ-რები, აზოტი) და მინერალური ნივთიერებები (კალიუმი, კალციუმი, ფოსფორის მჟავა). წვენთა მოძრაობა წყდება კვირტის გამლის შემდეგ, როცა ახალგაზრდა ფოთლები დაიწყებენ წყლის აორთქლებას. ტენის სისტირის გამო შეიძლება ვაზის ტირილი შემცირდეს, ან საერთოდ არ ჩატარდეს (გვალვის პირობებში).

### პვირტის გაშლა

გაზაფხულის დასაწყისში, როცა ჰაერის სადლელამისო ტემპერატურა 10°C მიაღწევს, იწყება წყლისა და საკვები ნივთიერებების მიწოდება ზრდის წერტილებში. ზრდის წერტილები იწყებენ აქტიურ დაყოფას და ამით იწყება შემოდგომაზე შეწყვეტილი კვირტების ჩამოყალიბების პროცესის განახლება – თავიდან იბერება კვირტები, შემდგომ კვირტის საფარი ქერტლი სკდება და გამოჩნდება

ყლორტის წვერი, შემდგომ კი – მთლიანი ყლორტი თავისი ნაწილებით.

მრავალგვარ ეკოლოგიურ პირობებში კვირტების გაშლა სხვადასხვა დროს ხდება. ეს პროცესი, გარდა კლიმატური პირობებისა, დამოკიდებულია ჯიშის ბიოლოგიურ თავისებურებებზე. საადრეო სიმწიფის პერიოდის ჯიშები კვირტის გაშლას ადრე იწყებენ.

უმრავლესი ჯიშის კვირტი აპრილში იშლება, ხოლო დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზონაში – მარტის ბოლოსაც მიმდინარეობს. კვირტების დაბერვა და გაშლა არის ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული პერიოდი ვაზის განვითარებაში, რადგან ამ პერიოდში მიმდინარეობს ყვავილედის



დიფერენციაცია, ხდება კლერტის ნაწილების სწრაფი წარმოშობა, რის გამოც ყვავილედები იზრდება უფრო ჩქარა, ვიდრე ყლორტის წვერი. არასამარისი კვების დროს ყვავილედის ჩანასახი ნელა დიფერენცირდება, წარმოშობა პწკალიანი, დაუმთავრებელი ყვავილედი და ზოგჯერ სულ იღუპება. კვირტის გაშლიდან ყვავილობის დაწყებამდე პერიოდში მიმდინარეობს ყლორტების სწრაფი ზრდა, ფოთლის იღლიაში კი წარმოიშობა ნამხრის კვირტები, რომლისგანაც წარმოიქმნება ნამხარი, აქტიური ზრდის პერიოდში ყლორტი დღელამები 10 სმ-მდე იზრდება.

ყლორტები და ფესვები იზრდებიან შტამბში ძველ ფესვებში არსებული სამარაგო ნივთიერებების ხარჯზე, ხოლო ფოთლების ჩამოყალიბებისა და მწვანე ბიომასის ზრდის კვალობაზე, ზრდა ხდება ფოთლისინთეზის შედეგად შექმნილი ნივთიერებების გამოყენებით. ფოთლებში მიმდინარეობს ტრანსპირაციის, სუნთქვისა და ასიმილაციის პროცესები. ორგანული ნივთიერებების მთელი რაოდენობა, რომლებიც იქმნება ამ პერიოდში, მთელი დღის განმავლობაში იხარჯე-

ბა ახალი ქსოვილების შესაქმნელად, ე.ი. ზრდაზე.

ყლორტები ზრდის პროცესში წვნიანია და შეიცავს 70-80% წყალს. კვირტების გაშლა და ყლორტების აქტიური ზრდის ფაზა გრძელდება 25-55 დღე. ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან ერთად, ე.ი., რაც უფრო მაღლა მივიწევთ მთებისკენ, ეს ფაზა მოკლდება.

### ვაზის ყვავილობა

ეს ფაზა იწყება ყვავილის ჩატის მოხსნით და ჩამოცვენით. პირველად აყვავილდება საშუალო მდებარეობის ყვავილედი და ყვავილედის ყუნწანა ახლომდებარე ყვავილები. ერთ რქაზე არსებული ორი ყვავილედიდან ქვედა მუხლზე არსებული უფრო ადრე ყვავილობს.

ყვავილობის ფაზა გრძელდება 5-14 დღემდე. თითოეულ ჯიშს ყვავილობის პერიოდი განსხვავებული აქვს. ყვავილობის პერიოდის თანხვედრას განსკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როცა ფუნქციონალურად მდედრობითი ჯიშებისათვის (თავისებრი, ასურეთული შავი) გამანაყოფიერებელი ჯიშების შერჩევა ხდება.

ყვავილედის ყველა ნასკვი როდი ვითარდება. ყველა ჯიშს გამონასკვის თავისი მაჩვენებელი აქვს. ამის მიხედვით მტევანი შეიძლება იყოს მეჩერი, კუმში, ძლიერ კუმში.

ნასკვების მაქსიმალური ცვენა იწყება განაყოფიერებების მე-9 დღეს. დაბალ ტემპერატურაზე, გრილ, ხანგრძლივ წვიმიან ამინდში შეიძლება ჩამოცვილედეს მთლიანი ნასკვები და მოსავალი განადგურდეს.



40-60% ყვავილთცვენა ვაზისათვის ითვლება ნორამლურ მოვლენად. ვაზის ყვავილობა საქართველოს პირობებში მიმდინარეობს 20-25 მაისიდან 10-12 ივნისამდე.

**ვაზის გრძელება, ანა გრძელებალიტები**



## კატივი მივაგოთ წარსულს, ვიზრეოთ მოქავლისათვის

ჩაის, ციფრუსების და სხვა სუბტრაიტული კულტურული საქართველოში სამრიცველო დაცილებული პირობების უზრუნველყოფისა — აირდაპირაა დაკავშირებული ამ უნიკალურ ადგილმდებარებასთან — ანასაულთან, სადაც აჩვენ უნი 90 ცელია ფუნქციონირება და დღისაც აგრძელება მუშაობას საგადამისამართო კალევითი დაცესაგულებები.

**მკერძოები კი ასე დაიცხო:**

საქართველოში ჩაის კულტურა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში შემოიტანეს. ჩაის ბუჩქების პირველი ინტროდუცია 1847 წელს განხორციელდა შავი ზღვის სანაპიროზე. აჭარაში მე-19 საუკუნის დასაწყისში პირველი ჩაის პლანტაციები და ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკები გაჩნდნენ. იმავე პერიოდში ჩაის ნარგაობამ ოზურგეთშიც გადმოინაცვლა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებიდან სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდი ყურადღება მიაქცია. ხელისუფლებამ დარგის ინტენსიური განვითარების მიზნით აუცილებლად მიიჩნია ჩაის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზაცია.

ამიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1930 წლის 12 სექტემბრის დადგენილებაში ჩანერილია „ჩაის საკავშირო ინსტიტუტი შეიქმნას ოზურგეთში, ჩაის ნარმობის ცენტრში, ოზურგეთის ცენტრალური საცდელი სადგურის ბაზაზე, ხოლო მის ადგილსამყოფელად განისაზღვროს ოზურგეთიდან ოთხ კილომეტრზე დაშორებული ანა-

სეულის ტერიტორია“.

აღნიშნული ტერიტორია ადრე თავადის ქალის ანას კუთვნილება ყოფილა, ხოლო იმ დროისათვის ეს ადგილები ტყე-ბუჩქნარით იყო დაფარული. სამეცნიერო ცენტრის ორგანიზაციისათვის ადგილმდებარეობას შესაფერისი სახე უნდა მისცემოდა. ამ საქმეში დიდი ენთუზიაზმი ხელისუფლებასთან ერთად გამოავლინა ადგილობრივმა მოსახლეობამ. მოკლე დროში მთლიანად შეიცვალა ანასეულის იერ-სახე. აშენდა ინსტიტუტისათვის საჭირო შენობა-ნაგებობები, მოეწყო კაბინეტ-ლაბორატორიები. მოძიებულ იქნა სამეცნიერო კადრები, საფუძველი ჩაეყარა საველე კაპიტალური ცდების მოწყობა-ორგანიზაციას. მეცნიერთა მიერ მსოფლიო ფლორის თითქმის ყველა სახეობის მცენარეებისაგან გაშენდა დენდროლოგიური პარკი, რომელიც დიდ კმაყოფილებას გვრის მნახველს.

თავისი არსებობის მანძილზე სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა უზარმაზარ ნარმატებებს მიაღწია. ინსტიტუტში შემუშავებული მეცნიერული კვლევებისა და რეკომენდა-

ციების საფუძველზე საქართველოში ჩაის კულტურის ნარგაობაში 67 ათას ჰექტარს, ხოლო ციტრუსის ბაღებაში — 30 ათას ჰექტარს მიაღწია, ასევე ფართოდ ინარმოებოდა დაფნის, ტუნგის, სუბტროპიკული ხურმის, ფეიონას და სხვა კულტურების პროდუქცია.

ჩაის სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეცველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი — თავისი სამეცნიერო ცოტენციალით, საცდელი პლანტაციებითა და ნარმობაში დანერგილი ღონისძიებებით მსოფლიოში ერთ-ერთ აღიარებულ ორგანიზაციად ითვლებოდა. ინსტიტუტში აღზრდილი სამეცნიერო კადრები ნარმატებით მოღვაწეობდნენ საქართველოსა და მის გარეთ არსებულ კვლევით დაწესებულებებში, ქვეყნის პარტიულ და სამეცნიერო თანამდებობებზე, რის გამოც ანასეული სამართლიანად ითვლებოდა სუბტროპიკულ კულტურების დარგში მეცნიერ-სპეციალისტთა სამჭედლოდ.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ 1990-2010 წლებში ანასეულის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე ფუნქციონირებდა ოზურგეთის ბუნებათსარგებლობის სასწავლო ინსტიტუტი, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში ბევრი კვალიფიციური კადრი აღზარდა რეგიონის სოფლის მეურნეობის ძირითად სპეციალობებზე.

სამწუხაროდ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე საქართველოში განვითარებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა მძიმე კვალიდააჩინეს, როგორც სუპტროპიკული მემცნენარეობის დარგის განვითარებას, ასევე ამ დარგში დასაქმებული სამცნიერო კადრების არსებობას. მოიშალა ინფრასტრუქტურა, გასხვისდა კაბიტალური საცდელი ნაკვეთები, სამუშაოდან დათხოვნილი იქნა ამ დარგის სპეციალისტები. მეჩაიერისა და სუბტროპიკული მემცნენარეობის სხვა დარგების დეგრადაცია უარყოფითად აისახა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველო დავასახელოთ ჩაის ნარგაობის 67 ათასი ჰექტარიდან ოხო ათას ჰექტარმდე, ხოლო ციტრუსოვნების 30 ათას ჰექტარიდან 8 ათას ჰექტარმდე შემცირება. როგორც ავღნიშნე ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ნარმობების კატასტროფული შემცირება, მძიმე ტვირთად დააწვა ამ რეგიონის მოსახლეობას, რის გამოც აქტიური მუშახელის უმეტესობა ყოველწლიურად გაედინება თურქეთში ჩაისა და თხილის პლატფორმის სამუშაოდ.

დღეისათვის ხელისუფლება ცდოლობს ამ დარგების რეაბილიტაციის ხელშეწყობას თანადაფინანსებისა და მატერიალური დახმარების სხვადასხვა ფორმების გამოყენებით. ბუნებრივია ამ საქმეში დაგეგმილია სამცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და სამეცნიერო კადრების დასაქმებაც. ამ მიზნით ანასეული, როგორც სამეცნიერო ცენტრი თანდათან იბრუნებს თავის სახეს. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ ანასეულში აღზრდილი წარმატები მანძილზე მოვალეობას და განვითარებას უზრუნველყოფს.

ური პარკის განახლება. ტერიტორია გაიწმინდა გამხმარი, დაზიანებული მცენარეებისაგან, დაირგო ახალი სხვადასხვა სახეობის დეკორატიული ნერგები, შეთეთრდა და ეტიკეტირება გაუკეთდა ნარგაობას. პარკში მოენყო ბილიკები ფეხით მოსიარულეთავის, გაზონები, დასასვენებელი ადგილები. ამჟამად პარკში მიმდინარეობს ენდემური და ინტროდიცირებული მცნენარეების ინვენტარიზაციის პროცესი.

პარალელურად ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებით აღდგენილი იქნა პარკში არსებული მოზაიკური წყლის შადრევანი, ირგვლივ მოეწყო ქვაფენილები და სასეირნო ბილიკები, განათებები და სხვა ეგზოტიკური სანახაობები, მიმდინარეობს დენდროლოგიური პარკის შემოღოვა-დაცვა. ანასეულის მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე მალე დაინყება წყალმომარაგების ახალი სისტემის მშენებლობაც.

რაც მნიშვნელოვანია ანასეულის ამ უნიკალურ პარკში ფუნქციონირებას აგრძელებს აგრალური უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი. ამასთან ტერიტორიას ამშევებს ახლადგარემონტებული ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“. აქვე ფუნქციონირებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამსახური, რომელიც ორიენტირებულია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების პერსპექტიული ფორმების გენეტიკური რესურსების შეგროვება, შესწავლა და გამრავლების ტექნოლოგიის შემუშავებაზე. ანასეულის ტერიტორიაზე მოწყობილია სადემონსტრაციო და საკოლექ-

ციონ ნაკვეთები, მიმდინარეობს მუშაობა სუბტროპიკული კულტურების, კაკლოვნების და კენკროვნების პერსპექტიული ფორმების მოძიება, გამრავლება და გაშენების აქტუალურ საკითხებზე. აქვე მოეწყობა ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების გადამუშავების პროგრესული ტექნოლოგიური ხაზები, ფერმერების მომზადება-გადამზადების კურსები, მავნეებლ-დაავადებათა გამოვლენის, შესწავლისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ბიოლაბორატორია. ასე რომ ახლო პერსპექტივაში ანასეული თანდათანობით აღადგენს თავის იერ-სახეს და ფუნქციას.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ოროგრაფიულად ეს ადგილი წარმოადგენს ერთგვარ შემაღლებულ ტერიტორიას, სადაც მთისა და ზღვის ჰაერის ერთობლივბა ზაფხულის პერიოდში ქმნის გრილ და სასიამოვნო გარემოს – ამდენად იგი მიმზიდველია დამსვენებლებისა და ტურისტებისათვის, რაც ოზურგეთის აგროტურისტულ გეგმებში პპოვებს გამოხატულებას. ასევე აღდგება ახლადაქტორნინებულთა მიერ საქორნილო ესკორტით შემოვლა-მონახულების ტრადიცია.

P.S. პირადად ჩემი ცხოვრების ძირითადი ნაწილი (60 წელი) ანასეულში მაქს გატარებული. ამ ადგილს დღესაც არ დაუკარგავს თავისი კოლორიტი საუკეთესო ადგილმდებარეობისა და იმ ადამიანების გამო რომლებიც წლების მანძილზე აქ შრომობდნენ და მოღვაწეობდნენ, თუმცა მათი დიდი ნაწილი დღეს ცოცხალი აღარა. მათ სახელსა და დამსახურებას ისტორია შემოინახავს, ხოლო ჩვენ ვინც დღეს ვაგრძელებთ მოღვაწეობას ვალდებული ვართ ვიზრუნოთ ანასეულის, როგორც ერთეულო გამორჩეული სამეცნიერო ცენტრის ძირითადი მიზნების – სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის აღორძინებასთან ერთად და სალნის სამსახურში ჩაეყენების აქტუალური პრობლემების მოგვარებაზე.

ამასთან ჩვენი მოვალეობაა ანასეულის მოსახლეობასთან ერთად, ყველაფერი გავაკეთოთ ამ უნიკალური ტერიტორიის ეტილმოწყობისა და კოლორიტული იერ-სახის შესანარჩუნებლად.

**ზორა გამოცემა**  
ს.მ.მ. დოქტორი, პროფესორი



# საქართველოში დაცურულ გრუნტო პოსტენული კულტურების აროდულის წარმოების გაზრდის წინააღმდეგი

**დაცურულ გრუნტის პოსტენული კულტურების წარმოების ზრდა ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ ეთო მთავარი წინააღმდეგაა. საქართველო ზამთრის და აღრე გაზაფხულის პერიოდში ძირითადად პოსტენული კულტურების პოსტენული კულტურების პირდაპირი მიმოქვევა დამოკიდებული.**

საქართველოში პოლო წლების მონაცემებით საქართველოში ყოველწლიურად ათეულობით მიღიონო ლარის ლირებულების ბოსტნეული კულტურები: კიტრი, პომიდორი, წიწაკა და ბადრიჯანი და სხვა შემოაქვთ. ადგილობრივი წარმოების ბოსტნეულით იმპორტი სწრაფი რომ ჩანაცვლდეს, აუცილებელია, შემდეგ საკითხებს მიექცეს ყურადღება:

**1. ზორმის საცუროებაში არსებული ქვეყნის აშაცებული სათაურების რეალნოტრაპია ენერგო-ზექტურ სათაურებად.**

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ფერმერების საცუროებაში არსებობს მრავალი სასათბურე მეურნეობა, რომლებიც ზამთრის პერიოდში დატვირთვით ვერ მუშაობენ. ამის პირველი მთავარი მიზეზია ის, რომ მათი გათბობა ძვირი ჯდება, ამიტომ ბოსტნეული კულტურების მოყვანა სანვაკის მაღალი დანახარჯების გამო არარენტაბელურია. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული სათბურების მშენებლობაც არ ჯდება იაფი, იმის მიუხედავად, რომ ხშირად მათი მშენებლობისათვის სერიოზული ფინანსებს ხარჯავენ, როგორც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, ისე სახელმწიფოც და, რასაკირველია, ფერმერები.

ამჟამად აუცილებელია რომ ზემოთხსენებულ სათბურებს ჩაუტარდეს რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. ამისათვის საჭირო იქნება სათბურის კონსტრუქციაში დამატებითი სისტემების ჩართვა და გათბობის სისტემის განახლება. შედეგად მივიღებთ მაღალ ენერგოფერმენტურ სათბურებს, სადაც ბოსტნეული კულტურების პროდუქციის წარმოება რენტაბელური გახდეს.

**2. ენერგოეფენტური სათაურების პოსტენულის არაულარიზაცია და მათი გამოცემის ხელშეწყობა.**

ბოსტნეული კულტურების პროდუქციის წარმოების მოცულობის

ზრდა ზამთრის პერიოდში ჩვენი ქვეყნის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე თანამედროვე ენერგო-ეფექტური სათბურების გარეშე შეუძლებელია. განსაკუთრებით დეკემბერი, იანვარი, თებერვლის თვეებში სასათბურე მეურნეობებში ძირითადი დანახარჯების წილი გასათბობ მასალებზე მოდის.

ზოგიერთი ენერგოეფექტური სათბურის ენერგოეფექტურობა ძალიან მაღალია, ამიტომ საცელმწიფო-სათვის სოფლის მეურნეობის მიმართულებით ერთ-ერთ მთავარ მიზანს ასეთი ტიპის სათბურების პოპულარიზაცია და მათი გავრცელების ხელშეწყობა უნდა წარმოადგენდეს.

ენერგოფექტიანი სასათბურე ტექნილოგიებიდან მსოფლიოში გამოკვეთილია შემდეგი: მინისქვეშა სათბური, მყარედლიანი (აგურის კედელი) სათბური, ორმაგი სათბური. ამ ტექნილოგიებიდან ყველაზე ენერგოეფექტური მინისქვეშა სათბურია, შემდეგ მოდის მყარედლიანი სათბური, ამის შემდეგ კი ორმაგი (დუბლირებული) სათბური.


**3. სასათბურო ზორმის მეურნეობის სათაურო მასალებზე სურველის განვითარების პირდაპირი განხორციელება სახელმწიფოს მხრივან სახელმწიფოს მხრივან.**

ჩვენს ქვეყანაში სტანდარტული, ქარხნული წარმოების სასათბურე მეურნეობები მცირე ფართობებზეა განთავსებული. აუცილებელია სასათბურე მეურნეობების ფართობების ინტენსიური ზრდა, რომლისკენ ჩვენმა სახელმწიფომ სერიოზული

ნაბიჯები გადადგა. ამ დარგის ინტენსიური განვითარება შეუძლებელია სუბსიდირების გარეშე.

ფერმერებისათვის რომლებიც ზამთრის პერიოდში ბოსტნეული კულტურებს აწარმოებენ, სახელმწიფოსგან ენერგორესურსების ხარჯის დასაბალნებლად გარკვეულ სუბსიდიებს უნდა იღებდნენ.

მსგავს პოლიტიკას ახორციელებს ჩვენი მეზობელი თურქეთი სასათბური



რე მეურნეობების მიმართ და ეს საქართველოშიც აუცილებელად უნდა განხორციელდეს.

## 4. იაზი ენერგორესურსების გამოყვანა.

საქართველოში სასათბურე მეურნეობების გასათბობად უკვე მოპოვებული თერმული წყლების საბადოები ჯერ კიდევ არ არის რაციონალურად გამოყენებული, ზოგიერთი თერმული წყარო საერთოდ არ არის გამოყენებაში და იკარგება ასეთი ძვირფასი ენერგორესურსები ზამთრის პერიოდში. მეცნიერების დასკვნით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებობს თერმული წყლების საბადოები, რომლის მოპოვება ქვეყნის განვითარებისათვის აქტუალური უნდა იყოს. თერმული წყლის გარდა სათბურების გასათბობად კარგ დამხმარე სამუალებაა ქარის მცირე ელექტროგენერატორების და მზის კოლექტორების გამოყენებაც. ასევე ძალზე ეფექტიანია სათბურების



გასათბობად ორგანული მასალების, ნახერხის ბრიკეტების, სხვადასხვა ორგანული ნარჩენებისგან მიღებული ბიოსანვავის გამოყენება.

ზემოჩამოთვლილი საკითხები ურთიერთდამოკიდებულებაშია ერთმანეთან და ამ საკითხების განხორციელება სერიოზულ ცვლილებებს

მოიტანს ქვეყნის მდგრადი განვითარების მიმართულებით.

სასათბურე მეურნეობის განვითარება საქართველოში ათასობით ახალ სამუშაო ადგილს შექმნის, როგორც სოფლის, აგრეთვე ქალაქის მოსახლეობისათვის.

ბოსტნეული კულტურების პრო-

დუქციის წარმოების გაზრდით საქართველოს შუძლია არა მარტო ჩაანაცვლოს იმპორტი, არამედ ბოსტნეული კულტურების პროდუქციის სერიოზული ექსპორტიორი ქვეყანა გახდეს. ამის პოტენციალი საქართველოს პქონდა და დღესაც აქვს, მაგრამ ამ საკითხებს კომპლექსური მიდგომა სჭირდება, რაც სახელმწიფოს, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების და კერძო სექტორის ურთიერთშეთანხმებული ქმედებებით არის შესაძლებელი

#### მოწვევი გადამზადები

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი

#### ზრდის სანაია

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

#### მიზანი ურთიერთობის მიზანი

## ერთული რძის ნიშნის გასახებ

საქართველოს პიზენის ინსტიტუტი არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც აღმინისათვის იმპორტის განვითარების კონკურენციას და შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას ნიშნის გამოყენების უფლების მინიჭებაზე. ინსტიტუტი აღმინისათვის უფლების ერთული რძის ნიშნის ვარგვერდს, მანის რძის გადაწყვეტილებაზე და ლოგიობრივი გაუცემს რძის მიზანის მათთვის საჭირო და მნიშვნელოვან საკითხებზე.

ინსტიტუტი უფასო კონსულტაციას გაუწევს ქართული რძის ნიშნის ბაზაში დარეგისტრირებულ მენარმებს ბიზნესის აღმინისათვის, ფინანსების, ბაზრის კულევების და მარკეტინგის საკითხებზე.

#### ვის შეუძლია მიღოს ნიშანი?

სანარმოს შეუძლია მოიპოვოს ნიშნის გამოყენების უფლება იმ პროდუქციაზე, რომელიც აქმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- სანარმო უნდა იყოს რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიზნესის რეესტრში;

- სანარმოს უნდა ჰქონდეს აღიარება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ

- სანარმოს უნდა ჰქონდეს დანერგილი ან დანერგვის ეტაპზე უნდა იყოს HACCP;

- სანარმო უნდა იყოს მოქმედი და ანარმობდეს პროდუქციას განაცხადის წარდგენის დროს;

- სანარმო უნდა ჰქონდეს რძის სექტორში მუშაობის მინიმუმ სამთვიანი გამოცდილება;

- სანარმო უნდა ანარმობდეს პროდუქციას იმ ნედლი რძით, რომელსაც აგროვებს ფერმერებისგან, რომელთა საქონელი თავისუფლად



ძოვს საძოვრებზე წელიწადში მინიმუმ ექვსი თვე, ხოლო ზამთრის საკვების ძირითადი ნაწილი ბალბაზე დამზადებული საკვებს წარმოადგენს;

- რძის პროდუქტები არ უნდა შეიცვდეს რძის ფეხნილს ან მცენარეულ ცხიმს.

#### რომორ ძღვანი ნიშნის

#### აღმინისათვის?

საქართველოს ბიზნესის ინსტიტუტი სურსათის უვნებლობის საკონსულტაციო კომპანიასთან ერთად ადგილზე ამონტებს იმ სანარმოს, ვისაც შევსებული აქვს განაცხადი ნიშნის გამოყენებაზე:

● ატარებს იმ რძის პროდუქტების ლაბორატორიულ ანალიზს, რომელსაც უნდა მიენიჭოს ნიშანი;

● ფორმდება თანამშრომლობის ხელშეკრულება რძის საწარმოსა და საქართველოს ბიზნესს ინსტიტუტს შორის;

● თუ შემოწმებამ დადებითად ჩაიარა, საწარმო იხდის ყოველთვიურ გადასახადს ყველის შემთხვევაში 100 ლარს, ხოლო სხვა დანარჩენი პროდუქტების შემთხვევაში, როგორებიცაა მანონი, არაჟანი, კარაქი – 50 ლარს, თითო სახეობის პროდუქტზე, თვეში;

● საწარმო, რომელიც ხდება ნიშნის მომხმარებელი, საქართველოს ბიზნესის ინსტიტუტისგან სხვადასხვა სახის დამატებით მომსახურებას ღებულობს.

## როგორ გავაკეთო განაცხადი?

რძის საწარმოებს შეუძლიათ ნიშნის გამოყენების უფლების მოპოვებისთვის შეავსონ სააპლიკაციო განაცხადი ონლაინ ან ჩამოტვირთონ ის <http://www.georgianmilk.ge/about-us>.

ნიშანი „ქართული რძე“ შეიქმნა საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის „კავკასიის რესურსცენტრის“ მიერ ახლახანს ჩატარებულ ურბანულ მომხმარებელთა ეროვნული კვლევის საფუძველზე. კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებელთა უმრავლესობას სურს იყიდოს ნედლი რძისგან დამზადებული ნატურალური, როგორც ისინი თავად უწოდებენ, „ეკოლოგიურად სუფთა“, პროდუქტი, რომელიც, მათივე განმარტებით, სუფთა ბალაზით ნაკვები ცხოველისგან მიღებული სუფთა რძით მზადდება სუფთა და უკნებელ საწარმოო პირობებში. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მომხმარებელთა უმრავლესობას უჭირს განასხვავოს ასეთი პროდუქტი მაღაზიებში არსებული სხვა რძის პროდუქტებისგან. ქართული რძის ნიშანი დაეხმარება მომხმარებელს ამ პრობლემის დალევაში.

## რჩევაზი მომხმარებელს

ბოლო წლებში რძის ფხვნილის გამოყენება ყველის წარმოებაში საგრძნობლად გაიზარდა. ამის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი წარმოების დაბალი ხარჯია. ზოგიერთ მომხმარებელის შემთხვევაში მიმდინარეობს უნდა მიმდინარეობა მომხმარებელის მიმდინარეობის გადასახადს ყველის შემთხვევაში 100 ლარს, ხოლო სხვა დანარჩენი პროდუქტების შემთხვევაში, როგორებიცაა მანონი, არაჟანი, კარაქი – 50 ლარს, თითო სახეობის პროდუქტზე, თვეში;

ბელს შეიძლება უნდოდეს კიდევაც რძის ფხვნილით დამზადებული ყველის შეძენა, თუმცა ყველა მომხმარებელს აქვს უფლება იცოდეს როცა პროდუქტი დამზადებულია რძის ფხვნილისგან და ეს ინფორმაცია მკაფიოდ/ნათლად უნდა იკითხებოდეს ეტიკეტზე.//

2017 წელს სურსათის ეროვნულ-მა სააგენტომ შეიტანა ცვლილებები რძის და რძის პროდუქტების ტექნიკურ რეგლამენტში, რომელიც მიხედვითაც იკრძალება ყველი უწოდო იმ პროდუქტს, რომელიც შეიცავს რძის ფხვნილს ან/და მცენარეულ ცხიმს. თუმცა სხვა სახელები, რომელებიც არ შეიცავენ დასახელებაში სიტყვას „ყველი“, ხშირად გვხვდება რძის პროდუქტების ეტიკეტზე და მომხმარებელს ჰგონია, რომ ეს პროდუქტი ნედლი რძისგან არის დამზადებული, მაგ. ასეთი სახელებია: სახაჭაპურე, ექსტრა, ჭყინტი.

რეკომენდებულია არ იყიდოთ ყველი ისეთ გარემოში, რომელიც არ არის სუფთა და ჰიგიენური, და ასევე არ იყიდოთ ყველი თუ გაურკვეველია სად და რისგან არის ის დამზადებული.

## მომხმარებლისთვის

### მიმდინარეობაზე იცოდეს:

წარწერა ეტიკეტზე „ყველი“ ნიშნავს, რომ პროდუქტი დამზადებულია ნედლი რძისგან, ხოლო თუ სიტყვა „ყველი“ არ არის მითითებული, ესე იგი პროდუქტი დამზადებულია აღდგენილი რძით (რძის ფხვნილით) და მცენარეული ცხიმით.

ეტიკეტის ყურადღებით წაკითხება. თუ პროდუქტის შემადგენლობაში წერია მცენარეული ცხიმი, ეს ნიშნავს რომ პროდუქტი არ არის დამზადებული ნედლი რძით.

თუ ყველი არის ეტიკეტის გარეშე, მომხმარებელს აქვს უფლება მოსთხოვოს რეალიზატორს/გამყიდველს დამატებითი ინფორმაცია (მაგ. შემადგენლობა, დამაზადებლის სახელი), გამყიდველი კი ვალდებულია მიაწოდოს ეს ინფორმაცია მომხმარებელს.

თუ გამყიდველი სარეალიზაციო ობიექტი ვერ წარადგენს ინფორმაციას ყველის შესახებ, მომხმარებელს აქვს უფლება დარეკოს სურსათის ეროვნულ სააგენტოში და დააფიქსიროს მომხდარი ფაქტი.

თუ გამყიდველი სარეალიზაციო ობიექტი ვერ წარადგენს ინფორმაციას ყველის შესახებ, მომხმარებელს აქვს უფლება დარეკოს სურსათის ეროვნულ სააგენტოში და დააფიქსიროს მომხდარი ფაქტი.

დამოუკიდებელი ორგანიზაცია რეგულარულად ატარებს რძის საწარმოების აუდიტს, ხოლო მონაცემები ახლდება ვებგვერდზე – [www.georgianmilk.ge](http://www.georgianmilk.ge), სადაც მომხმარებელს შეუძლია გადაამონმოს მის მიერ შეწეული პროდუქტი და მიიღოს სრული ინფორმაცია საწარმოსა და პროდუქტების შესახებ.

„ქართული რძის“ ნიშანს უკვე იყენებს ყველის მწარმოებელი შეიძლია საწარმო: „ნინნყარო+“, „მილკენი“, „ყველის ქოხი“, „ცივის ყველი“, „ი.მ. ცოლაკ გრიგორიან“, „ი.მ. კარენ სიმონიან“ და „რ.კ. ხიზა“.





## ფუნგიციდი მილდიკატი – ინოვაციური ფუნგიციდი 3აზის ჭრაჟისგან დასაცავად

მილდიკატი – ინოვაციური ფუნგიციდია ვაზის ჭრაჟისგან დასაცავად.

ფორმულაცია – კონცენტრატ ემულსია.

აქტიური ინგრედიენტი – ნატრიუმის ფოსფიტი 250 გრ./ლიტ-რზე + ციაზოფამიდი 25 გრ./ლიტრზე.

კონტაქტო-სისტემური ფუნგიციდი დამატებული ტრანსლამინალური მოქმედებით

ფუნგიციდი-მილდიკატი და მისი ძლიერი მხარე:

- ფუნგიციდი მილდიკატის უნიკალურობა იმაშია, რომ ის არა მარტო კონტაქტურ-სისტემურ მოქმედებისაა, არამედ ახასიათებს ტრანსლამინალური მოქმედება;

- ნებისმიერი ჭრაჟის სტადიაში ფუნგიციდი ეფექტურია;

- ძლიერი დაცვა ახალი ამონაყარებისა და ფოთლებისა;

- წვიმის მიმართ მედეგია;

- კონტროლი ინფექციაზე;

- უსაფრთხოა ფუტკრებზე;

- ადიდებს შაქრის შემცველობას;

- არ ახდენს მოქმედებას ღვინის ფერმენტაციაზე.

- ენერგია სოკოს უჯრედებში ნადგურდება მოქმედებისგან და სპორები ველარ ვითარდება;

- ახასიათებს დიდი პროფილაქტიკური მოქმედება დაავადების პირველ ეტაპზე;

### ფუნგიციდი მილდიკატის გამოყენების ინსტრუქცია

| კულტურა | დაავადება                         | სარჯევის ნორმა ლ/ჰა | გამოყენების ჯერადობა | ლოდინის პერიოდი |
|---------|-----------------------------------|---------------------|----------------------|-----------------|
| ვაზი    | ყვავილობამდე                      | 2.0                 | 4                    | 30              |
|         | ყვავილ. შემდეგ                    | 3.0                 |                      |                 |
|         | მარცვლების აქტიური ზრდის პერიოდში | 3,5-4               |                      |                 |

მილდიკატს აქვს ინოვაციური ფორმულაცია, ეს გამოიხატება ფოსფორის შემცველობაში, ახანგრძლივებს ვეგეტაციის პერიოდს და ახდენს მწვანე ეფექტს. დაავადების მიმართ აქვს დიდი მედეგობა და შაქრის დაგროვების დიდი შესაძლებლობა. მილდიკატი თანაბრად ნაწილდება ვაზზე და ძნელად რეცხავს წვიმა.

ოფიციალური  
დისტრიბუტორი  
შპს „აგროცენტრი“  
+995 597 99 29 23



### მოქმედების მემარზე

- ფუნგიციდი მილდიკატი იცავს ჭრაჟისგან ვაზს მთელი ვეგეტაციის პერიოდში;

# მსოფლიო და საქართველო; გეცემალეონის თანამედროვე გდგომარეობა და ტენდენციები

## ნაწილი I

### ცხრვალთა სელადობა, ცხრვალური კრიზისის შემთხვევა და მოხარეა მსოფლიოზე

მსოფლიო მეცნიერებელთა საერთო აღიარებით, კაცობრიობის სამიურნეო საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება, სასოფლო-სამუშაოები თანამომავალი, სათავეს იღებს ე.წ. „ნორილის რევოლუციის“, ანუ 12 ათასი ლიტს წინა პრიორიტეტი, რამაც უძიდესი როლი შეასრულა მსოფლიო ცივილიზაციების ჩამოყალიბება-განვითარებაში.

ფაო-ს მონაცემებით, დღეისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულია პლანეტის ეკონომიკურად აქტიური 1 მლრდ ადამიანი, მათ შორის ევროგაერთიანების ქვეყნებში მცხოვრებთა საერთო რაოდენობის 8%-მდე, აშშ-ში – 3%, ხოლო ნიგერიასა და მალიში 80%-მდე. ჩვენი გათვლებით, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებულია სოფლად მცხოვრები 20-25 წელზე უხნევი მოსახლეობის 90-95%, აგრეთვე ქალაქებსა და მუნიციპალიტეტების ცენტრებში მცხოვრებთა 3-5%.

სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია 2 დარგით: მემცნარეობა და მეცხოველეობა. დღეისათვის, საშუალოდ, მსოფლიოში წარმოებული პროდუქციის მოცულობით მემცნარეობა, როგორც წესი, აღემატება მეცხოველეობას, თუმცა, განვითარებულ ქეყნებში ეს უკანასკნელი უფრო მაღალი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი. აქვე აღსანიშნავია ის, რომ სოციოლოგების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით, სოფლად მცხოვრებთა კეთილდღეობის საზომ სკალაში პროდუქტიულ ცხოველს წამყვანი პოზიცია უკავია.

სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობის წარმოშობას წინ უძლოდა ცხოველთა შემოჩვევა-მოშინაურების საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი. კანადის დალჰაუზის უნივერსიტეტის (Dalhousie University, ქალაქი ჰაიდ-ფაქსი, ახალი შოტლანდიის პროვინცია) მკვლევართა შეფასებით პლანეტის ბიომრავალფეროვნება წარმოდგენილია 8,7 მლნ სახეობით, რომელ

თა შორის 9-10 ათასი ფრინველების და 4,5-5,0 ათასი ძუძუმწოვართა სახეობებია. მათგან, ადამიანმა შემოიჩვია და მოაშინაურა 40-მდე სახეობა და მათ არსებობას, მოვლა-შენახვის პირობებს, კვებას და გამრავლებას არეგულირებს თავისი შეხედულებებიდან და სამეურნეო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.

ველებისა და ფრინველების დაკვლის თანამდევ პროდუქტებს, განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მსუბუქ, გადამამუშავებელ და ფარმაცევტულ მრეცველობაში.

მეცხოველეობას მისდევენ პლანეტის ხუთი კონტინენტის პრატიკულად ყველა ეკოლოგიურ ზონაში; ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი და თხა, რომლებიც კარგად ეგუებიან განსხვავებულ კლიმატს და იმავდროულად საკვებით დაკმაყოფილების ძირითადი წყაროა ბუნებრივი სავარგულები<sup>1</sup>. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ

#### ცხრილი 1

სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების სულადობის დინამიკა მსოფლიოში ([www.fao.org](http://www.fao.org))

| სახეობა     | ზომის ერთეული | წლები     |           | 2017 წელი |                          |
|-------------|---------------|-----------|-----------|-----------|--------------------------|
|             |               | 2001      | 2010      | სული      | %, 2001 წელთან შედარებით |
| ძროხა       | ათასი         | 1314921,9 | 1415683,2 | 1491687,2 | 113,4                    |
| კამერი      | " — "         | 166280,4  | 188172,8  | 200967,8  | 120,9                    |
| ღორი        | " — "         | 881945,5  | 974410,4  | 967385,1  | 109,7                    |
| ცხვარი      | " — "         | 1037722,6 | 1076358,2 | 1202430,9 | 115,8                    |
| თხა         | " — "         | 763774,1  | 910827,3  | 1034406,5 | 135,4                    |
| ფრინველები  | მლნ.          | 16638,6   | 22279,0   | 24828,8   | 149,2                    |
| მ.შ. ქათამი | " — "         | 14954,3   | 20244,6   | 22847,1   | 152,8                    |

მოშნაურებული ცხოველებისა და ფრინველების ნანილი გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილებისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის ნედლეულით უზრუნველყოფის საქმეში. საქმე ის არის, რომ ყველა ის პროდუქტი, რომელსაც გვაძლევს სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობა, მატყლისა და აბრეშუმის პარკის გარდა, წარმოადგენს სასურსათო კალათის ძირითად შემადგენელს, ხოლო ამ ორ უკანასკნელს, აგრეთვე ცხო-


წარმოებული მეცხოველეობის პროდუქციის ლომის წილი მოდის ზომიერი კლიმატის სარტყელის ქვეყნებზე.

მეცხოველეობა თავის მხრივ მოიცავს მრავალ ქვედარგს, რომელთა შორის წარმოებული პროდუქციის მოცულობითა და საერთო ეკონომიკური მნიშვნელობით წამყვანი ადგილი უკავიათ მეძროხეობას, შემდეგ კი მოდის მელორეობა, მეფრინველება, მეცხვარეობა-მეთხეობა და მეფრინველება.


სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ XXI საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიოში აღინიშნება ცხოველთა სულადობის საკმაოდ სწრაფად ზრდა; მათ შორის,

1. მსოფლიოში ბუნებრივ სათიბ-საძოვრებს უკავიათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 3-ჯერ მეტი ფართობი, ვიდრე სახნავს.


ნახ. 1. მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა კონტინენტების მიხედვით (ათასი.სული)




ნახ. 2. ღორის სულადობა კონტინენტების მიხედვით (ათასი.სული)



ნახ. 3. ცხვრისა და თხის სულადობა კონტინენტების მიხედვით (ათასი.სული)



ნახ. 4. სხვადასხვა სახეობის ფრინველის რაოდენობა კონტინენტების მიხედვით (მლნ. ფრთა)



განსაკუთრებით მაღალი ტემპით გამოირჩევა მეფრინველები (49,2%) და მეთხეობა (35,4%), ხოლო მსხვილფეხა პირუტყვის (ძროხა + კამერი), ღორისა და ცხვრის რაოდენობა იზრ-

ჩანს, რომ ყველა სახეობის ცხოველებისა და ფრინველების სულადობა, ძირითადად კონცენტრირებულია აზიის კონტინენტზე, სადაც ჰყავთ მსხვილფეხა პირუტყვის საერთო რაოდენობა

დება შედარებით ნელი ტემპით (14,3; 9,7 და 15,8%, შესაბამისად; ცხრილი 1).

მეტად საინტერესო სურათი იკვეთება მიმდინარე საუკუნეში ცხოველებისა და ფრინველების სულადობის დინამიკაში ზოგადად კონტინენტების და ქვეყნების მიხედვით. ასე, მაგალითად, კონტინენტების მიხედვით, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში, აზიასა და აფრიკაში ძროხის სულადობა გაიზარდა 8,0; 10,4 და 50,5%-ით, ხოლო ოკეანეთსა და ევროპაში შემცირდა 1,8 და 15,4%-ით, შესაბამისად. ღორის სულადობა გაიზარდა პლანეტის ყველა კონტინენტზე, გარდა ევროპისა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიკვეთა აფრიკის კონტინენტი, სადაც აღნიშნულია 77,3%-ით ზრდა. ცხვრის სულადობა 24,7 და 51,3%-ით გაიზარდა აზიასა და აფრიკაში, შესაბამისად, ხოლო ოკეანიაში (ძრითადად აესტრალიაში) შემცირდა 34,0%-ით. აღნიშნულისგან განსხვავებით, ყველა კონტინენტზე გაიზარდა თხის სულადობა, მაგრამ უფრო ინტენსიურად ეს პროცესი მიმდინარებდა აფრიკასა და ოკეანიაში, სადაც მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან საშუალო ნლიურმა ზრდამ შეადგინა

4,4 და 3,4%, შესაბამისად. ასევე, პლანეტაზე 49,2%-ით გაიზარდა ყველა სახეობის ფრინველის სულადობა და აქაც ყველაზე მაღალი ტემპით ზრდა აღნიშნულია აზიასა და აფრიკაში – 64,1 და 51,5%.

ფარ-ს 2017 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შედგენილ დიაგრამებზე (ნახ. 1, 2, 3 და 4) ნათლა

ბის 39,4%, ცხვრისა და თხის 5/6-ზე მეტი (88,1%), ღორისა და ფრინველების კი ნახევარზე მეტი – 57,6 და 57,2%, შესაბამისად. მსხვილფეხა პირუტყვისა და ფრინველების რაოდენობით მეორე ადგილზეა სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტი, ღორის – ევროპა, ხოლო ცხვრისა და თხის სულადობით – აფრიკა.

ფრინველის სახეობებიდან ქათმის (56,3%), იხვის (88,1%) და ბატის (84,5%) საერთო რაოდენობით პირველ ადგილზეა აზიის კონტინენტი, ხოლო ინდაური ყველაზე მეტი ჰყავთ ამერიკის კონტინენტზე (68,6%).

ქვეყნების მიხედვით ცხოველთა სულადობის დინამიკის ანალიზი ცხად-ჰქონდა, რომ ზრდა, როგორც წესი, აღინიშნება განვითარებად ქვეყნებში, ხოლო განვითარებული მეცხოველეობის ქვეყნებში კლებულობს, ამ შედარებით უმნიშვნელოდ იზრდება;

ასე, მაგალითად, ევროგაერთიანების ქვეყნებში ძროხის სულადობა შემცირდა 1,8%-დან (ესტონეთი) – 31,0%-მდე (სლოვაკეთი) და მხოლოდ რამდენიმეში გაიზარდა (ესპანეთი – 0,8%-ით და პორტუგალია – 18,1%-ით). ძროხის სულადობა, ასევე, შემცირდა აშშ-ში (3,7%-ით) და კანადაში (15,2%-ით), მაშინ როდესაც ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის უმეტეს ქვეყნებში, აღინიშნება მათი 5-10%-ით ზრდა, ზოგიერთში კი საგრძნობლადაც (მაგ. პარაზილიაში საშუალო წლიური ზრდა შეადგენს 21,8%-ს). მსგავსი სურათი აღნიშნულია სხვა სახეობის ცხოველების სულადობის დინამიკაშიც.

ცხოველებისა და ფრინველების სულადობით მსოფლიოს პირველ ხუთეულში შემავალ ქვეყნებზე ინფორმაცია მოტანილია მე-2 ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ მსხვილფეხა პირუტყვის სულადობით პირველი პოზიცია უკავია ინდოეთს, შემდეგ მოდის ბრაზილია, ხოლო ისეთი მაღალგანვითარებული მექრობების ქვეყანა, როგორიცაა აშშ, ამ მაჩვენებლით მხოლოდ მე-4 ადგილზეა. საყურადღებოა, რომ ინდოეთში მსხვილფეხა პირუტყვის თითქმის ნახევარი (37%-ზე მეტი) ნარმოდგენილია კამერით, საკუთრივ ძროხის სულადობით კი პირველი ადგილი უპირობოდ ეკუთვნის ბრაზილიას, სადაც ჰყავთ 214, 9 მლნ. სული ძროხა და 1,38 მლნ. კამერი. აქვე მიზანშენილად მიმართა ავლინიშნო, რომ ღორისა და ყველა სახეობის ფრინველის სულადობით ბრაზილია შედის მსოფლიოს პირველი ხუთეულის ქვეყნებში.

1. FAO-ს სტატისტიკურ-ზეცნობარში ოკეანეთში გაერთიანებულია აფსტრალია, ახალი ზელანდია და წყვარის სამხრეთ-დასავლეთისა და ცენტრალურ ნაწილის კუნძულთა ჯგუფი: მიკროზეზია, მელანეზია და პოლინეზია;

**ცხრილი 2**

**სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების რაოდენობით  
მსოფლიოს პირველი ხუთეულის ქვეყნები (www.fao.org)**

| მსხვილფეხა პირუტყვი, ათასი სული         |           |           |           |            |
|---|-----------|-----------|-----------|------------|
| ინდოეთი                                 | ბრაზილია  | ჩინეთი    | აშშ       | არგენტინა  |
| 298433,2 *                              | 216281,2  | 106826,9  | 93704,6   | 67196,7    |
| ღორი, ათასი სული                        |           |           |           |            |
| ჩინეთი                                  | ავსტრალია | ინდოეთი   | სუდანი    | ირანი      |
| 456773,4                                | 71500,4   | 39950,3   | 29231,6   | 29075,3    |
| ცხვარი, ათასი სული                      |           |           |           |            |
| ჩინეთი                                  | ავსტრალია | ინდოეთი   | სუდანი    | ირანი      |
| 161351,0                                | 72125,3   | 63068,6   | 40552,9   | 40029,7    |
| თხა, ათასი სული                         |           |           |           |            |
| ჩინეთი                                  | ინდოეთი   | ნიგერია   | პაკისტანი | ბანგლადეში |
| 149071,1                                | 133874,6  | 73878,5   | 70300,0   | 56083,2    |
| ფრინველები (ყველა სახეობის), ათასი ფრთა |           |           |           |            |
| ჩინეთი                                  | აშშ       | ინდონეზია | ბრაზილია  | ირანი      |
| 5573222,0                               | 2228200,0 | 1975842,0 | 1363804,0 | 934600,0   |
| * გათ შორის 113329,7 ათასი სული კამერი. |           |           |           |            |

სხვა სახეობის ცხოველებისა და ფრინველების რაოდენობით პირველ ადგილზეა ჩინეთი, სადაც ჰყავთ ღორის მსოფლიო სულადობის თითქმის ნახევარი (47,2%), ცხვრის – 13,4%, თხის – 14,4%, ყველა სახეობის ფრინველების კი 22,4%.

ცხოველთა რაოდენობით მსოფლიოს პირველი ხუთეულის ქვეყნებში შედის ევროგაერთიანების მხოლოდ ერთი ქვეყანა, ესპანეთი (ღორის რაოდენობით მე-4 ადგილი). იმავდროულად, სასოფლო-სამეურნეო ცხოველების სულადობით პირველ ხუთეულში გვხვდება ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ვიეტნამი (ღორის სულადობით მე-5 ადგილი), სუდანი და ირანი (ცხვრის სულადობით მე-4 და მე-5 ადგილი) ნიგერია, პაკისტანი, ბანგლადეში (თხის სულადობით მე-3, მე-4 და მე-5 ადგილი), აგრეთვე ინდონეზია (ფრინველის საერთო სულადობით მე-3 ადგილი).

ფრინველების სახეობებიდან, ქათმის, იხვის და ბატის ყველაზე მრავალიცხვანი სულადობის მყოლე ქვეყნებს სათავეში უდგას ჩინეთი (4973,9 და 724,4 306,4 მლნ ფრთა, შესაბამისად), ინდაურის სულადობით კი მონინავე პოზიციაზეა აშშ (242,5 მლნ ფრთა); აქვე ხაზგასასმელია ის, რომ იხვის რაოდენობით მსოფლიოში მეორე და მესამე ადგილი უკავიათ შედარებით ისეთი მცირე ტერიტორიის ქვეყნებს, როგორებიცაა ვიეტ-

ნამი და ბანგლადეში, ხოლო ბატის სულადობით მესამე ადგილზეა მოზამბიკი.

მოსახლეობის ტრადიციებსა და სხვ. ფაქტორზე; ზოგადად კი, მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის შედარება გვიჩვენებს, რომ ამ მაჩვენებლით უპირატესობა ამ უკანასკნელთა მხარეზეა.

უდაოა, რომ ცხოველთა რაოდენობა და წლების მიხედვით სულადობის ზრდის დინამიკა საყურადღებო მსჯელობისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა; ამასთან, მეცხოველეობის მდგომარეობაზე, მისი განვითარების ტენდენციებზე ზუსტ სურათს იძლევა სულადობის დინამიკის ფონზე პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპი, ხოლო მეცხოველეობის ცალკეული დარგების განვითარების უტყუარი მაჩვენებელია ყოველი 1 სულიდან და 1 მომსმარებელზე წარმოებული პროდუქციის რაოდენობა.

მსოფლიოში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დინამიკა (ცხრილი 3) გვიჩვენებს, ყველა სახეობის ცხოველთა რძის წარმოება გაიზარდა 40,4%-ით, ხორცის – 41,2%-ით, ხოლო კვერცხის 46,6%-ით. მეცხო-

**ცხრილი 3**

**მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება მსოფლიოში**


| რძე, სულ                    | პროდუქტის დასახელება | ზომის ერთეული | წლები    |          | ±2001 წ-თან შედარება |
|-----------------------------|----------------------|---------------|----------|----------|----------------------|
|                             |                      |               | 2001     | 2017     |                      |
| აქედან: - ძროხის            | " – "                | " – "         | " – "    | " – "    | " – "                |
| - კამერის                   | " – "                | " – "         | " – "    | " – "    | " – "                |
| - ცხვრის                    | " – "                | " – "         | " – "    | " – "    | " – "                |
| - თხის                      | " – "                | " – "         | " – "    | " – "    | " – "                |
| - აქლემის                   | " – "                | " – "         | " – "    | " – "    | " – "                |
| ხორცი, სულ                  | " – "                | " – "         | " – "    | " – "    | " – "                |
| აქედან: - ძროხის და კამერის | " – "                | " – "         | " – "    | " – "    | " – "                |
| - ღორის                     | " – "                | " – "         | " – "    | " – "    | " – "                |
| - ცხვრისა და თხის           | " – "                | " – "         | " – "    | " – "    | " – "                |
| - ფრინველების               | " – "                | " – "         | " – "    | " – "    | " – "                |
| - სხვა                      | " – "                | " – "         | " – "    | " – "    | " – "                |
| კვერცხი, სულ                | მლრდ. ც.             | მლრდ. ც.      | მლრდ. ც. | მლრდ. ც. | მლრდ. ც.             |
| აქედან: - ქათმის            | " – "                | " – "         | " – "    | " – "    | " – "                |
| მატყლი, სულ <sup>1</sup>    | ათ. ტ.               | ათ. ტ.        | ათ. ტ.   | ათ. ტ.   | ათ. ტ.               |

რა თქმა უნდა, თავისთავად, ცხოველთა საერთო რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტულად აღებული ქვეყნის ფართობზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაზე, ეკოლოგიურ პირობების ქვეყნების პირველთა რაოდენობით მსოფლიოში მეორე და მესამე ადგილი უკავიათ შედარებით ისეთი მცირე ტერიტორიის ქვეყნებს, როგორებიცაა ვიეტ-

ველების ერთადერთი პროდუქტი, რომლის წარმოება მიმდინარე საუკუნის განვითარების შემცირდა, არის მატყლი, რაც აისხნება ბუნებრივ ბოჭკოზე მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილების შემცირებით.

მსოფლიოში წარმოებული რძის სტრუქტურაში (2017 წ.), ტრადიციულად, წამყვანი ადგილი უკავია ძრო-

1. ფა-ს ვებ გვერდზე, <http://www.fao.org/faostat/en/#data> მატყლის წარმოების ბოლო მონაცემებით თარიღდება 2013 წლით.



ხის რძეს – 81,6%, შემდეგ მოდის კამერის 14,5%, ხოლო მესამე ადგილზეა თხის რძე – 2,2%. ამასთან, ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ ზრდის სისწრაფით, ძროხის რძეს გაასწრო კამერის რძის წარმოებამ.

კონტინენტების მიხედვით თუ განვიხილავთ, რძის წარმოების არნახული სისწრაფით ზრდა (1,9-ჯერ, ანუ საშუალოდ წელიწადში 5,41%-ით) აღინიშნა აზიაში, შემდეგ მოდის აფრიკა (45,6%), ხოლო ევროპაში ამ მაჩვენებელმა შეადგინა მხოლოდ 0,38% (ცხრილი 4). რაც შეეხება ამერიკის კონტინენტს, სადაც რძის წარმოება საშუალოდ გაიზარდა 29,3%-ით, ტემპი უფრო მაღალი იყო კარიბის ზღვის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის რეგიონებში (32,1%-ით), ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკაში (27,0%-ით). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებიდან რძის წარმოება უფრო სწრაფად იზრდებოდა აშშ-ში (30,3%-ით), შემდეგ მოდის მექსიკა (24,1%-ით), ხოლო კანადაში, შეიძლება ითქვას, 2001 წლის დონეზე დარჩა (შემცირდა 0,07%-ით).

ქვეყნების მიხედვით ძროხისა და კამერის რძის წარმოების ზრდის მაღალი ტემპით გამოირჩევიან ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და ზოგიერთი სხვ. ქვეყანა. ასე, მაგალითად, მიმდინარე საუკუნის განვლილ პერიოდში რძის საერთო წარმოება ჩინეთში გაიზარდა 2,9-ჯერ, ინდოეთში, 2,43-ჯერ, ბრაზილიაში კი 1,6-ჯერ.

სამაგალითოდ შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ განვითარებადი მეცხველეობის ქვეყნებში ძროხისა და კამერის რძის წარმოების ზრდა უზრუნველყოფილი იქნა, ძირითადად, ადგილობრივი ჯიშობრივი რესურსების მიზანმიმართული სასულექციო-სანაშენე მუშაობით. საქ-

მე ის არის, რომ გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან ამ ქვეყნების მეცხველეობაში სანაშენე საქმის ყველა რგოლის ეფექტურად ამოქმედების პარალელურად, ცხოველთა კვების პირობების გაუმჯობესებამ და პირველადი წარმოების გაუმჯობესებული ტექნილოგიების დანერგვამ, უზრუნველყო ფურებისა და ფურკამეჩების საშუალო პროდუქტიულობის მკვეთრად ზრდა;

აღნიშნულის დასასაბუთებლად მოვიყვანთ 3 მაგალითს:

1. ინდოეთი, სადაც მიუხედავად ძროხის სულადობის 2,4%-ით შემცირებისა და კამერის შედარებით უმნიშვნელოდ, 19,1%-ით მატებისა, ამ სახეობების რძის წარმოება გაიზარდა 2,4 და 1,9-ჯერ, შესაბამისად.

2. ბრაზილიაში, 2001 წლითან შედარებით 2017 წლისთვის მსხვილურად პირუტყვის სულადობა გაიზარდა 21,8%-ით, ხოლო რძის წარმოება ორჯერ უფრო სწრაფად (58,4%-ით).

#### ცხრილი 4

რძის წარმოების დინამიკა  
კონტინენტების მიხედვით (მლნ.ტ.)

| კონტინენტი | წლები     |           | საშუალო<br>წლიური<br>ზრდა, % |
|------------|-----------|-----------|------------------------------|
|            | 2001      | 2017      |                              |
| აფრიკა     | 32257770  | 46975053  | 1,85                         |
| ამერიკა    | 143329606 | 185406253 | 1,84                         |
| აზია       | 176067283 | 338008357 | 5,41                         |
| ევროპა     | 214260845 | 227253148 | 0,38                         |
| ოკეანეთი   | 23733054  | 30241415  | 1,71                         |

3. ჩინეთში, მიმდინარე ათასწლეულში მიუხედავად ძროხის სულადობის 13,6%-ით შემცირებისა, რძის წარმოება გაიზარდა 2,5-ჯერ.

ზოგადად, ნაკლებად განვითარებული მეცხველეობის ქვეყნებში

(least developed countries!) რძის წარმოება საშუალოდ წელიწადში იზრდებოდა 3,65%-ით (მ.შ. ძროხისა და კამერის რძის 4,23%-ით). როგორც ავლნიშნეთ, დაწყებული გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ეს, ძირითადად, განხორციელდა ადგილობრივი ჯიშობრივი რესურსების ხარჯზე, სანაშენე აღრიცხვის მოწესრიგებითა და სელექციის თანამედროვე მიდგომების პრაქტიკაში განხორციელებით. შედეგად, ამ ქვეყნების ხვედრითი წილი მსოფლიოში წარმოებული რძის ბალანსში გაიზარდა და 2017 წლისთვის მიაღწია 41,8%-ს.






ევროგაერთიანების ქვეყნებში რძის წარმოების ზრდის გაცილებით ნელი სისწრაფე (გაიზარდა 9,6%-ით, ანუ საშუალო წლიურმა მატება 1%-ზე ნაკლები იყო). ამასთან, ქვეყნებს შორის არაერთგვაროვნი სურათი არის აღნიშნული. მაგალითად, 16 წლის მანძილზე ბრიტანეთსა და საფრანგეთში რძის წარმოება გაიზარდა მხოლოდ 3,7 და 5,7%, შესაბამისად; პოლანდიაში – 30,3%-ით, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში შემცირდა კიდევ (მაგ. შვედეთში 15,6%-ით).

ასეთი მდგომარეობა გაპირობებულია ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე ევროპის უმეტეს ქვეყანაში რძის წარმოებაზე დანესხებულ შეზღუდვებთან (ქვოტებთან). იმავდროულად, ჩვენი აზრით, იქ სადაც ფურის საშუალო წლიურმა მონაწველმა გადააჭარბა 8-9 ათას კილოგრამს, ძროხის ჯიშობრივი რესურსების გენეტიკური პოტენცია, აგრეთვე კვებისა და მოვლა შენახვის ტექნილოგიების შესაძლებლობები მიუახლოვდნენ თავიანთ მაქსიმუმს; ამის გათვალისწინებით, უახლოეს ათწლეულში ამ ქვეყნებში ნაკლებად უნდა ველოდით რძის წარმოების ზრდაში რაიმე რადიკალურ წინსვლას.

რაც შეეხება აფრიკის ქვეყნებს, აქ რძის წარმოების ზრდა შედარებით ნაკლები იყო და შეადგინა 2,85%/წლიურადში. საქმე ის არის, რომ ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების სარძეო პროდუქტიულობის გენეტიკური პოტენცია, აგრეთვე საკვებნარმოების შესაძლებლობები გარკვეულწილად შეზღუდულია. აქედან გამომდინარე, რძის სექტორის მომავალი, ერთის მხრივ დაკავშირებულია ადგილობრივ გენოფონდთან სასელექციო მუშაობის გააქტიურებასთან, მეორეს მხრივ კი საკვებნარმოებისა და მეცხველეობის პროდუქტების წარმოების ინტენსიური მეთოდების დანერგვასთან; ამ უკანასკნელთან დაკავშირებით არ-

1. <http://www.fao.org/faostat/en/#data>





წარმოება შემცირდა 8,8 და 34,6 %-ით, შესაბამისად. საშუალოდ, ინდოეთში წარმოებული ხორცის ბალანსში, თითქმის ნახევარი მოდის ფრინველის: ქათმის, იხვისა და ბატის ხორცზე (54,3%), ხოლო მეორე ადგილზეა მსხვილფეხა პირუტყვის - 32,4%.

ევროგაერთიანების ქვეყნებში ხორცის საერთო წარმოების 12,2%-ით ზრდა უზრუნველყო ბროილერული მეფრინველეობის სწრაფად განვითარებამ, ხოლო ძროხის, ცხვრისა და თხის ხორცის წარმოება შემცირდა, შესაბამისად 4,1; 17,9 და 22,7%-ით.

ევრაზიული კავშირის ქვეყნებიდან ხორცის წარმოება ყველაზე მეტად გაიზარდა რუსეთში და სომხეთში - 2,3-ჯერ, ხოლო ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და უკრაინაში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 30-53%; მეზობელ აზერბაიჯანში ხორცის წარმოება გაიზარდა 2,3-ჯერ.

ხორცის ყველაზე მეტი რაოდენობით მწარმოებელი ქვეყნების ტოპ-ათეულის სათავეში დგას აშშ, სადაც 2017 წლის მონაცემებით წარმოებულია 12 მლნ ტონაზე მეტი ხორცი (დაკლული მასით), ხოლო თურქეთს ამ ნუსხაში უკავია მე-10 ადგილი<sup>1</sup>. პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან, ყველაზე მეტი რაოდენობით ხორცის აწარმოებენ რუსეთსა (9,6 მლნ. ტონა) და უკრაინაში (2,3 მლნ ტონა).

ბოლო წლებში ხორცის მსოფლიო ბაზრის წლიური ბრუნვა 30-32 მლნ ტონის ფარგლებშია, ხოლო სტრუქტურაში დაახლოებით 38% მოდის ფრინველის, 35% ძროხის, 23% ღორისა და 4% ცხვრისა და თხის ხორცზე (ნახ. 9). ქვეყნების მიხედვით, ძროხის ხორცის ექსპორტში მონინავე პოზიციები უკავიათ ბრაზილიას, ავსტრალიასა და ინდოეთს<sup>2</sup>, ღორის ხორცის ექსპორტში – ჩინეთს, აშშ-ს და ევროგაერთიანების ქვეყნებს, ფრინველის კი – აშშ-ს და ბრაზილიას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (Organisation for Economic Cooperation and Development<sup>3</sup>) პროგნოზით 2025 წლისათვის ყველა სახეობის ცხოველისა და ფრინველის ხორცის წარმოების მოცულობა მსოფლიოში მიაღწევს 357,5 მლნ ტონას; იმავე მონაცემებით, წარმოების ზრდა, ძირითადად, უზრუნველყოფილი იქნება ისეთი ქვეყნების მიერ, როგორებიცაა ბრაზილია, ჩინეთი და აშშ.

2017 წელს მსოფლიოში წარმოებულია 1526,38 მლრდ კვერცხი (საინკუბაციო კვერცხის ჩათვლით<sup>4</sup>), რომლის უდიდესი ნაწილი, 92,8%, მოდის ქათმის კვერცხზე. 2001 წლიდან, წარმოების საშუალო წლიურმა ზრდამ მსოფლიოში შეადგინა 30,3 მლრდ ცალი, ანუ 2,9%; ამასთან, წარმოების საშუალო წლიური ზრდის სისწრაფემ ევროპის კონტინენტზე შეადგინა 0,8%, მაშინ როდესაც ოკეანისა და აზიაში ეს მაჩვენებელი იყო 3,45-3,5%;

კონტინენტების ჭრილში თუ განვიხილავთ, ბოლო წლების მონაცემებით კვერცხის ყველაზე დიდი მწარმოებელია აზია (საერთო წარმოების 64,0%), მეორე ადგილზეა ამერიკა (19,0%), ხოლო აფრიკასა და ოკეანეთზე ერთად მოდის მხოლოდ 8,5%.

ცალკეული ქვეყნებიდან, კვერცხის ყველაზე დიდი მწარმოებელია ჩინეთი – 621,8 მლრდ ცალი, ანუ მსოფლიო წარმოების 40,7%. პირველ ხუთეულში შედიან: აშშ, ინდოეთი, რუსეთის ფედერაცია და მექსიკა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, 2017 წელს მწარმოებელთა ტოპ-ათეულში შევიდა უკრაინა, რომელიც მიაღწევს 10,6 მლნ ტონას, ამავე წელს კვერცხის მსოფლიოში მიაღწევს 10,5 მლნ ტონას.

1. <https://meat-expert.ru/articles/109-top-10-stran-po-obemam-proizvodstva-myasa>

2. ამ ქვეყნიდან, ძირითადად, გააქვთ კამერის ხორცი;

3. <http://www.oecd.org/>

4. [18 მაცხოველი მაცხოველი საქართველო](http://hectagro.ru/index.php/novosti/204-proizvodstvo-yaitsev-v-mire-s-მონაცემებით საინკუბაციო კვერცხის ხედირითი წილი საერთოდ წარმოებულში შეადგენს 5%-ს.</a></p>
</div>
<div data-bbox=)

ინა!, სადაც ბოლო 16 წლის მანძილზე კვერცხის წარმოება გაიზარდა 60,4%-ით და მიაღწია 15,5 მლრდ ცალს. თურქეთში კვერცხის წარმოება გაიზარდა 82,3%-ით, სომხეთში – 52,6%-ით, ხოლო აზერბაიჯანში 3,1-ჯერ.

წატურალური კვერცხისა და კვერცხსაბოლოუქტების მსოფლიო ბაზრის მოცულობამ 2016 წელს შეადგინა 3,99 მლრდ დოლარი. ექსპორტიორი ქვეყნების სიას სათავეში უდგას ჰოლანდია, საიდანაც 2016 წელს გატანილია 764,9 მლნ მდობარეობის საერთო ღირებულების პროდუქცია, შემდეგ კი მოდიან: აშშ, თურქეთი და გერმანია. ჩინეთიდან კვერცხის ექსპორტის მოცულობა შეადგენს 190,1 მლნ მდობარეობის საერთო მდობარეობის 50%-ით.

აგრარული პოლიტიკის დამოუკიდებელი ინსტიტუტის<sup>2</sup> პროგნოზით 2035 წლისთვის მსოფლიოში კვერცხის მოხმარება გაიზრდება 50%-ით.

როგორც ავღნიშნეთ, მატყლის წარმოება მსოფლიოში შემცირდა 67,57 მლნ ტონით (ფიზიკური მასით), ანუ 3,0%-ით; ეს პროცესი ყველაზე მეტად აისახა ოკეანეთში ძირითადად ავსტრალიაში და ამერიკის კონტინენტზე, სადაც წარმოება შემცირდა 368,1 და 47,2 ათასი ტონით, ანუ 41,2 და 24,3%-ით, შესაბამისად.

და ეს მაშინ, როდესაც აფრიკისა და აზიის კონტინენტზე მატყლის წარმოება გაიზარდა 33,6 და 40,8%-ით. რაც შეეხება ევროპას, აქაც ალინიშნა მატყლის წარმოების უმნიშვნელოდ, 5,7%-ით ზრდა; ამასთან, საგულისხმოა, რომ ევროპაში წარმოებული მატყლის თითქმის 1/3 მოდის მეცხვარეობის დიდი ისტორიისა და ტრადიციების ქვეყანაზე, დიდ ბრიტანეთზე; წარმოების ნამატებიც მისი ხედრითი წილი საკმაოდ მაღალია (51,2%);

ოკეანეთის ქვეყნებიდაან, მატყლის წარმოება ყველაზე მეტად შემცირდა ავსტრალიაში, რაც გაპირობებული იყო საფეიქრო წარმოების ხელოვნური ბოჭქოს მოხმარებაზე გადასვლასთან. რა თქმა უნდა, სხვა შემთხვევაში ქვეყნის მეცხვარეობა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდებოდა, მაგრამ ავსტრალიელმა ფერმერებმა და საეცალისტებმა სწრაფად აუღდეს ალლო შექმნილ მდგომარეობას და პრობლემის გადაწყვეტისადმი სელექციონერების შემოქმედებით მიღომის წყალობით, ისტორიულად



მოკლე დროში, შეძლეს მერინოსული მეცხვარეობის სახორცე პროდუქტიული მიმართულებად გარდაქმნა. თუმცა, ამან უკვალოდ არ ჩაიარა და მიმდინარე ათასნებულში ცხვრის სულადობის შემცირება გაგრძელდა (387,8 ათასი სულით, ანუ 35%-ით). მიუხედავად ასეთი დიდი დანაკლისისა, ახალი სახორცე-სამატყლო პროდუქტიული მიმართულების მეცხვარეობაზე გადასვლამ უზრუნველყო შესაძლო ზარალის მაქსიმალურად ნიველირება, რაც აისახა ცხვრის ხორცის წარმოების უმნიშვნელოდ, 6,4%-ით შემცირებაში.

ბოლო წლებში წატურალური მატყლის მსოფლიო ბაზრზე აღინიშნება ზრდის ტენდენცია, რის შედეგად, ბოლო წლებში ბრუნვამ მიაღწია 4-4,5 მლრდ მდობარეობის სახის სათავეში დგას ავსტრალია, საიდანაც, 2013 წელს რეალიზებულია 2,5 მლრდ მდობარეობის გარეცხილი და გაურეცხავი მატყლი. ახალი ზელანდია 578,4 მლნ მდობარეობის ექსპორტით მეორე ადგილზეა, ხოლო ევროპის ქვეყნებიდან მატყლის ექსპორტიორი ქვეყნებიდან აღნიშნავენ იტალიას, გერმანიას, დიდ ბრიტანეთს და ჩრენის რესპუბლიკას<sup>3</sup>.

შესრულებულმა მოკლე ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა მსოფლიო მეცხვარეობობაში შექმნილ მდგომარეობასა და მისი განვითარების მიმართულებზე/ტენდენციებზე გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები და გამოგვეთვა მოსაზრებები:

მსოფლიოში, ყველა სახეობის ცხოველთა სულადობის ზრდის უფრო მაღალი ტემპი აღინიშნება განვითარებით მიღომის წყალობით, ისტორიულად

რებად ქვეყნებში, რაც, უპირატესად, ხდება ადგილობრივი ჯიშმბრივი რესურსების ხარჯზე. მათგან განსხვავებით, ევროგაერთიანების და ზოგიერთი განვითარებული მეცხველეობის ქვეყანაში ცხოველთა სულადობა, როგორც წესი, სტაბილური ბულია, ცალკეულ შემთხვევაში კი მცირდება კიდეც.

სულადობის ზრდასთან შედარებით, უფრო სწრაფი ტემპით იზრდება მეცხველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება; ასე, მაგალითად, მიმდინარე საუკუნეში:

– ძროხისა და კამერისა სულადობა მსოფლიოში გაიზარდა 12,7%-ით, მაშინ როდესაც ამ სახეობების ცხოველთა რძის წარმოება გაიზარდა 40,6%-ით, ხორცის კი – 20,3%ით.

– მელორეობაში სულადობა გაიზარდა 9,6 %-ით, ხოლო ხორცის წარმოება – 32,1%-ით,

– ცხვრისა და თხის სულადობა გაიზარდა 24,1%-ით, მათი რძისა და ხორცის წარმოება კი 32,7 და 31,6%-ით, შესაბამისად,

– ყველა სახის ფრინველის სულადობა გაიზარდა – 49,2%-ით, ხოლო კვერცხისა და ხორცის – 46,6 და 70,4%-ით, შესაბამისად;

სასურსათოდ გამოყენებული მეცხვარეობის პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების მონაცემთა შედარებით გამოიკვეთა, რომ 2017 წლისთვის დედამიწის ყოველ 1 მცხველებზე<sup>4</sup> საშუალოდ წარმოებულია 111 კგ რძე, 44,5 კგ ხორცი და 204 ცალი კვერცხი. ეს მაჩვენებლები რამდენადმე მეტია მიმდინარე ათასნებულის დასაწყისის მონაცემებთან შედარებით, მაგრამ საგრძნობლად ჩამორჩება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ ცხოველური პროდუქტების მოხმარების მინიმალურ ხორმებს.

1. <http://agroportal.ua/news/zivotnovodstvo/ukraina-v-top10-mirovyykh-proizvoditelei-yaita/>
2. <https://www.agroinvestor.ru/analytics/news/28981-potreblenie-yaytsa-v-mire-vyrastet-v-1-5-raza>
3. <https://ru.actualitix.com/country/wld/ru-wool-exporting-countries.php>
4. მსოფლიოს მოსახლეობამ 2017 წელს შეადგინა 7,45 მლრდ. (<https://countrymeters.info/World/>)

პროდუქტების წარმოების ზრდის  
მეტად მაღალი ტემპი აღინიშნა ზო-  
გადად აზიაში, განსაკუთრებით კი  
მის სამსრეთ-აღმოსავლეთის ქვეყ-  
ნებში. მიუხედავად ამისა, ამ კონტი-  
ნენტზე საშუალოდ 1 კაცზე წარმო-  
ებულია მხოლოდ 76 კგ რძე, 31,4 კგ  
ხორცი და 218 ცალი კვერცხი. წარ-  
მოების ზრდის მეტად დაბალი მაჩვე-  
ნებლები აღინიშნა აფრიკის კონტი-  
ნენტზე, რის შედეგად აქ საშუალოდ  
1 მცხოვრებზე წარმოებულია ორჯერ  
ნაკლები პროდუქცია (37,7 კგ რძე,  
15,5 კგ ხორცი და 53,5 ცალი კვერ-  
ცხი), ვიდრე აზიაში. ეს რამდენჯერ-  
მე ჩამორჩიება არა მარტო ფასოს მიერ



დადგენილ მინიმალურ რაოდენობას, არამედ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე განვითარებული მეცხოველეობის ქვეყნებში, მაგალითად, ევროპაში, სადაც 1 მცხოვრებზე წარმოებულია 306 კგ რძე, 84 კგ-მდე ხორცი და 256 ცალი კვერცხი.

სტატისტიკური მასალების დეტა-  
ლურმა ანალიზმა დაგვანახა, რომ  
კონტინენტურებიდან 1 მომხმარებელზე  
ნარმოებული რძისა და ხორცის რაო-  
დენობით ყველას უსწრებს ოკანეთი  
(შესაბამისად, 747 კგ და 158 კგ), ხო-  
ლო კვერცხის ნარმოებით მოწინავე  
პოზიცია უკავია ამერიკის კონტი-  
ნენტს (300 კალი).

ქაუკინების მიხედვით, დღეისთვის  
მსოფლიოში, საშუალოდ 1 კაცზე  
ყველაზე მეტ რძეს აწარმოებენ ახალ  
ზელანდიაში – 3540 კგ, შემდეგ მოდი-  
ან ჰოლანდია – 680 და ავსტრალია –  
500 კგ. პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან  
ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია  
ბელორუსიაში, სადაც 2016 წელს 1

მომხმარებელზე წარმოებულია 700 კგ-ზე მეტი რძე.

მოზამბიკის, ბანგლადეშის, ინდოეთის, შრილანქისა და ზოგიერთი სხვა ქვეყანაში (3,2-7 კგ/კაცზე/ზელინაში, დაკლუტი მასით).

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან კველაზე მეტი ხორცი ინარმეობა ბელო-რუსიაში - 72,2 კგ/1 მოსახლეზე, რაც მსოფლიო რეიტინგში ნიშნავს 43-ე ადგილს, რუსეთს კი 62,9 კგ-ით ამ ნუსხაში 56-ე ადგილი უკავია.

ძრობის ხორცს ყველაზე მეტი რაოდენობით მოიხმარებ არგვენტინაში<sup>2</sup> (55 კგ), ღორის ხორცს – ავსტრიასა და გერმანიაში (61 და 55,6 კგ, შესაბამისად), ფრინველის ხორცის მოიხმარებით კი ლიდერია ისრაელი (67,9 კგ/კაცზე/წელიწადში). ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ცხოველებიდან, მსოფლიოში ყველაზე მცირე რაოდენობით ანარმონებენ ცხვრის ხორცს; მაგრამ, აქაც გამოიკვეთა ლიდერი ქვეყანა – მონღოლეთი, სადაც 1 კაცზე მოდის 40 კგ-ზე მეტი ამ სახეობის ცხოველის ხორცი<sup>3</sup>.

1 სულ მოსახლეზე წარმოებული კვერცხის რაოდენობით პირველ ადგილზეა მექსიკა (360 ცალი/წელინადში) შემდეგ მოდიან იაპონია, უკრაინა და ჩინეთი (330, 310 და 300 ცალი, შესაბამისად). მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში, საშუალოდ 1 მოსახლეზე წარმოებულია 175 და 234 ცალი კვერცხი, შესაბამისად.

\* \* \*

დღეისთვის პლანეტის მოსახლეობას 1/4-ზე მეტი სურსათის, მათ შორის ცხოველური პროდუქტების დეფიციტს განიცდის, რაც ნარმოების ზრდის მნიშვნელოვანი სტიმულია. ამასთან, როგორც ვხედავთ, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდას თან სდევს (მართალია უფრო შენელებული ტემპით) ცხოველთა რაოდენობის ზრდა, რაც, გასაგები მიზეზების გამო, უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. აქედან გამომდინარე, გენეტიკურსებისა და ცხოველთა ბიოლოგიის სხვა მიმართულებების მკვლევართა უპირველესი ამოცანაა პროდუქტიულობის პოტენციის ამაღლების ახალი ბიოლოგიური მექანიზმების გამოვლენა, ხოლო ზოოტექნიკურსების – ამ შესაძლებლობების წარმოების პირობებში ამ შესაძლებლობების სრულად რეალიზაცია, შესაბამისი კვებისა და მოვლა-შენახვის ტექნოლოგიების დაზეუნიტიზაცია.

ნარმოდგენილ მიმოხილვაში არა-  
ფერი გვითქვამს, ზოგადად, მსოფ-  
ლიო მეფუტკრეობის მდგომარეობა-  
ზე, აგრეთვე თაფლის და ფუტკრის  
სხვა პროდუქტების ნარმობასთან  
დაკავშირებით.

საქმე ის არის, რომ მეფუტკრეობა, ნარმოების ტექნოლოგითა და სპეციფიკით დიამეტრალურად განსხვავდება სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობის სხვა მიმართულებებისგან, რის გამო საკითხის კომპეტენტური ანალიზი საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებსა და სპეციალურ ცოდნას. აქედან გამომდინარე, თემის ირგვლივ მსჯელობისთვის ასპარეზი მეფუტკრეობის სპეციალისტებისთვის დაგვითმია.

ବୀରମଣ ମନ୍ଦିରାଳୀ,  
କୁମାରପୁର ପାରପାଳାଳୀ

1. <http://www.brestmeat.by/mias/page4.php>
  2. Арганда Чинадиев ხორცის ექსპორტზე შეზღუდვის დაწესებამ ადგილობრივ ბაზარზე შეამცირა ფასები და კვეყნის მოსახლეობას მისცა საშუალება სურვილისამებრ მოეხმარა ეს პროდუქტი;
  3. <http://www.brestmeat.by/mias/page4.php>

# რაჭული ფორმა უვებესარიული ცენტრის გენერიკით და ცენტრული

„პლაუნშტაინ საქართველოს“ სათავო ფორმა რაჭული, ონის რაიონის სოფელ ჭარელოვთაშია. თანამდებობით მისი მიზანი გამოცდილება, გაცემ-ვალების უზრუნველყოფა სამოწვევის მიზანი. საქართველოს მოვლის ჰიგიენური ნორმების დაცვისა და დაცვადებათა კონფიროლის შვეიცარიული სტანდარტები აქ ჩვეულავის ისება, რომელსაც შვეიცარიაში. ფორმას შვეიცარიული საეცილისტები უწევთ კონსულტაციას და მთვალიშობებს.

დღეს „პლაუნშტაინ საქართველოს“ შესახებ არ მოგითხოვთ, ასლა გაგაცნობთ კომპანია „პლაუნშტაინ საქართველოს“ ახალგაზრდა, წარმატებულ ვეტერინარ ექიმს, შავლებ ხარისხის.

შავლებს ცხოველებისადმი სიყვარული და ინტერესი უნივერსიტეტში არ გასჩენია. ბავშობიდან იზიდავდა მათთან ურთიერთობა, უვლიდა და უფრთხილდებოდა კიდეც თავის ოთხფეხს მეგობრებს, ცდილობდა მეტი გაეგო მათ შესახებ.

შავლები სწორედ ამ სიყვარულმა მიიყვანა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე. ეს იყოს 2007 წელს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შავლებმა პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე, წარმატებით გაიარა სავალდებულო სამსახური და დემობილიზაციის შემდეგ კომპანია „პლაუნშტაინ საქართველოში“ თავისი პროფესიით, ვეტერინარად დაინტენცირდა.

„ჩემი მოვალეობაა ყოველდღიურად პირუტყვის კონფიროლი, ახუ-

რებული პირუტყვის გამოვლენა და მათი ხელოვნური განაყოფიერება, ახურების კალენდრის შედგენა და დაცემილი ნამატის კონტროლი. დაავადებული პირუტყვის მეურნალობა და მისი პრევენციის გზების მოძიება. ვაქცინაცია, დეპელმინთიზაცია, ჩლიქების დამუშავება და მთელი რიგი ვეტერინარული სამუშაოები.

კომპანიაში ხშირად სტუმრობენ შევიცარიელი სპეციალისტები (გამნაყოფიერებელი, ვეტერინარი, აგრონომი და სხვა), მათი გაკვეთილები, მასტერ კლასები ძალიან მეხმარება პროფესიული ჩვევების დახვენაში, საქმიანობის სწორად წარმართვაში.

ხშირად მიწევს მოსახლეობასთან მუშაობაც, თუმცა ეს იოლი საქმე სულაც არ არის, მოსახლეობის ცნობა-დობის ასამაღლებლად საფუძლიანი, მრავალფეროვანი ლონისძიებების გატარება საჭირო.

შავლების თქმით, თუ საქმე იცი, ვეტერინარობა რთული არ არის, მაგრამ ამ ცოდნის მიღება და პროფესიული ჩვევების დახვენა საქართ-



ველოში პრობლემა. საქართველოში ძალიან ჭირს გამოცდილი და კარგი ვეტერინარის მოძიება.

უნივერსიტეტში პრაქტიკული მეცანეობები ძალიან იშვიათი მოვალენა იყო. ამიტომ, ჩემი ცოდნის დაახლოებით 90% პრაქტიკამ მასწავლა.

დღეს სოფელში ჭირს ვეტერინარი, რაზეც გული ძალიან მტკიცა. ბევრს არ ჰყავს პირუტყვი იმის გამო, რომ სოფელში ვეტერინარი არ არის. ჯობს, სახელმწიფომ მეტი ყურადღება დაუთმოს ამ დარგის განვითარებას.

დამწყებ კოლეგებს ვურჩევ, ისწავლონ კარგად, უგულოდ არასდროს მიუდგნენ საქმეს და არ დაიშურონ ძალისმევა პირუტყვის გადარჩენისათვის, რადგან წარმატებული შედეგით თავადაც ძალიან გახარებულები დარჩებიან.“

მთხოვთ მომავალი

## საკვები კულტურები

# იონჯა (MEDICAGO) - იონჯას მოყვანა და მიზანები

იონჯა (MEDICAGO) პარალისათა მოვალეის ცალების ცარმების უზოავრესად მრავალფლოვანი (საშუალო 5-7 ცელი) გადახმვანი მცენარე. აპვს 60-90 სმ (იშვიათად 140 სმ) სიგრძის ღეროები, რომელიც პუშაობა.

ფოთოლი სამყურაა, ყვავილედი-მტევანი 15-20 კაშაშა ყვავილით. ნაყოფი სპირალისებურად დახვეული ბარებია. ფესვთა სისტემა მთავარდერძოვანი, მძლავრი და დატოტვილია, ნიადაგში ღრმად (5-10 მ-მდე) ჩადის.

იონჯის ოჯახი (Medicago) 60-მდე სახეობას მოიცავს, სამეურნეო-სა-წარმოო დანიშნულებით ძირითადად იყენებენ: ლურჯს (Medicago

sativa L.) და ყვითელს (Medicago falcata L.).

იონჯა (ყვითელი – Medicago falcata L.) მრავალწლიანი თაფლოვანი მცენარეა. მისი ღერო სიმაღლე 60 სმ-ს აღწევს, ამ ტიპის იონჯის ყვავილები დამტვერიანებას კარგად არის მისა-დაგებული.

ფერმერებისთვის იონჯის თივის წარმოება საუკეთესო საშუალებაა,

იგი შეიცავს ყუათიან ნივთიერებებს და ცილების დიდ რაოდენობას. იონჯა გამოიყენება როგორც მწვანე საეკოს და თივა – მონელებადი საკვები ნივთიერებების შემცველობის მიხედვით, იონჯას ვერ შეედრება ვერცერის სხვა ბალახეული.

იონჯა ნიადაგში სამყურას მსგავსად ტოვებს საკვები ნივთიერებების მნიშვნელოვან მარაგს, განსაკუთრებით აზოტის მარაგს; პირველ მოთიბვას ანარმობენ ყვავულობის დასაწყის ფაზაში, ხოლო ყოველი მომდევნო ხდება, როდესაც ძირთან

ახლოს მყოფი 2-3 ფოთოლი იწყებს გაყვითლებას.

წელიწადში უნდა გაითიბოს არა-ნაკლებ 4-ჯერ; გამოზამთრების წინ სასურველია ბოლო გათიბვა გან-ხორციელდეს ისე, რომ მინის ზემოთ დარჩეს 10 სმ-მდე სიმაღლის ღერო;

რეკომენდირებულია ცხოველს საკ-ვებად მიეცეს შემდეგი სახის მწვანე მასის ნარევი:

იონჯა – 70%,

წივანა – 25% და

ტიმოთელა – 5%.

ამ სახით იზრდება საკვების ყუათი-ანობა და ჭამადობაც; სულ ცნობილია იონჯის 60 სახეობა და ჯიში, მათგან 40 არის მრავალნლოვანი, ხოლო 20 – ერთნლოვანი. იგი ინვითარებს საკმა-ოდ მძლავრ ფესვთა სისტემას და 60 სმ-მდე სიმაღლის ღეროს. ჭარბტენი-ან ადგილებში აღწევს 90 სმ-მდე;

ძირითადად გავრცელებულია ლურ-ჯი და ყვითელი იონჯა; ყვითელი ფორ-

ასე მოდებული მწყერისფერა, რომ-ლის თივასაც ფერმერები ზამთრის-თვის საგანგებოდ არჩევენ.

იონჯას სხვადასხვა ტიპის ნიადა-გებზე თესავენ, უკეთესად ვითარდება ფესვერ ნიადაგებზე, წყლის კარგი გამტარიანობის უნარის მქონე შავმი-წებზე, ნაბლა, ალუვიურ, რუხ და კი-რით მდიდარ სხვა ტიპის ნიადაგებზე.

არ უყვარს დაჭაობებული და მუავე რეაქციის ნიადაგები.

### იონჯის ცარმოებისთვის

#### საჭიროა შემდეგი ზარტონები:

1. ნიადაგის დამუშავება 22-25 სმ სიღრმეზე.

2. ნიადაგის განოყიერება მინერა-ლური სასუქებით, ერთ ჰექტარზე სა-ჭიროა 500 კგ სუპერფოსფატი და 200 კგ ამოფისი.

3. იონჯის თესვა კარგია ადრე გა-ზაფხულზე, მარტის პირველ ნახე-ვარში ან შემოდგომით.



მა უფრო გვალვაგამძლეა და იტანს მკაცრ ზამთარსაც, თუმცა ლურჯი უფრო ჭარბმოსავლიანია; განსაკუთ-რებით აღსანიშნავია ყვითელი და ლურჯი იონჯის ჰიბრიდები. ისნი შე-დარებით უძლებენ მკაცრ კლიმატურ პირობებს და იძლევიან მწვანე მასის გაცილებით მეტ მოსავალს.

არსებობს იონჯის სხვადასხვა ჯი-შები: ზამთარში ნახევრად პასიური, პასიური, აქტიური და ზამთარში უაღ-რესად აქტიური. ზამთრის ყველაზე აქტიური ჯიში არის ავსატრიული ჯი-შის იონჯა, რომელიც ვეგეტაციას არ წყვეტს ზამთრის ჰერიოდშიც.

საქართველოში საამისო ძალიან კარგი ბაზა არსებობს. იგი იმდენად ყუათიანი და არც ისე ძნელი მოსაყ-ვანია, რომ ბევრმა ფერმერმა უნდა მოახერხოს და დათესოს. ადგილი შე-საძლებელია მან ჩაანაცვლოს ჩვენში

4. თესვის სიღრმე ნორმად მიღებუ-ლია 5-7 სმ იმ ადგილებში, სადაც ტე-ნიანობა ნაკლებია, ხოლო დასავლეთ საქართველოში – 3-4 სმ.

5. თესლის გაღვივების ტემპერა-ტურა: 2-3°C, განვითარების ოპტი-მალური ტემპერატურა: 20-25°C.

6. ნიადაგის არეს ოპტიმალური რე-აქცია pH=6,0-7,0.

7. ჰექტარზე 5-6 კგ სუფთად ან 3-4 კგ სათესლე მასალის თესვა, სხვა ბა-ლახეულთან, მაგალითად, სამყურას-თან შერევით.

სასურველია იონჯის თესლის სი-ლაში შერევა და ისე დათესვა. დათეს-ვის შემდეგ სასურველია ნიადაგის დატევება.

იონჯის ფართობში ნახირის შერევ-ვა მოსაძოვებლად, დაუშვებელია. მარტივი გათვლით ერთ ძროხას ზამ-

თრის განმავლობაში სჭირდება 70 ცალი სტანდარტული იონჯის ტუკი.

დღიურად თუ მივცემთ ერთ ტუკს, მას სჭირდება 0,2 ჰა ფართობი. იონჯა-სამყურას თესვა სასურველია ნეიტრა-ლურ ან ტუტე რეაქციის ნიადაგებზე. მუავე ნიადაგების არსებობის დროს, სასურველია ნიადაგის მოკრიანება.

ყველაზე მაღალ მოსავალს იძლევა მეორე და მესამე წელს; იონჯის ნათე-სის გამოყენება შესაძლებელია ხუთი წლის განმავლობაში.

### ავსტრალიური იონჯა

ავსტრალიური იონჯა (*Sequel Lucerne*) არის პარკოსანთა ოჯახის წარმომადგენელი მრავალნლიანი (5-7 წელი), გვალვაგამძლე, გაზაფხულ ზაფხულში ინტენსიურად მზარდი ჯიში, ამავე დროს ის ტოლერანტუ-ლია ზამთრის ყინვების მიმართ.

იონჯის ზამთარში აქტიური სახე-ობები ავსტრალიური იონჯა ვეგეტა-ციას არ წყვეტენ ზამთრის განმავ-ლობაშიც, ისინი უმნიშვნელოდ ამცი-რებენ ზრდას ზამთრის თვეებში და გაზაფხულზე ძალიან სწრაფად აგრ-ძელებენ ვეგეტაციას, რაც საშუალე-ბას იძლევა მინიმუმ ერთი ნათიბით მეტი მოსავალი მიღილოთ სხვა ტრა-დიციულ იონჯის ჯიშებთან შედარე-ბით, განსაკუთრებით მისი მორნევის შემთხვევაში.

საქართველოში არსებული ნიადა-გის ტიპების და კლიმატური პირო-ბების გათვალისწინებით სრულებით შესაძლებელია ერთი სასოფლო-სა-მეურნეო სეზონის განმავლობაში მი-ლებულ იქნას მინიმუმ ორი ნათიბი, ჰექტარზე 35-50 ცენტნერი თივა.

მორნევის შემთხვევაში 3-4 ნათიბის მიღება და შესაბამისად 100-130 ცენ-ტნერი. ნიადაგის დამუშავება საჭი-როა შერჩეული ნიადაგის მოხვნა 22-25 სანტიმეტრზე და მისი თესვისწინა საგულდაგულოდ შემზადება ფაცხით.

იონჯა ადრე გაზაფხულზე ან შე-მოდგომით უნდა დაითესოს. იონჯის თესვის ნორმად მიღებულია ჰექტარზე 0.5-2 კგ თუ ხდება იონჯის სხვა ბალახებთან ერთად შეთესვა, 8 კგ თუ სამუალი წლიური ნალექების რაო-დენობა აღნევს 550 მილილიტრს და 12-15 კგ თუ ხდება ნათესის ინტენსი-ური მორნევა.

იონჯის თესლი ღრმად არ უნდა დაითესოს, 2-3 სანტიმეტრი სიღრმე საკმარისია, მისი ღრმად ჩათესვის შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირ-დება აღმონაცენი.

**წყარო: გაზეთი „აგროკავკასია“**

# ლობიოს მწვანე პარკის მოყვანა მზის მარტივ სათბურში, აა გეორგის ეკონომიკური ეფექტიკანონი

ლობიოს, რომორც მარცვალს ასევე მცვევანი პარკს საძარღველოს მოსახლეობა მოიხდარს დილი რაოდენობით, სხვა პარკო-სან კულტურაზეთან შედარებით. ლობიოს მარცვლის საშუალო მოსავლიანობამ 2017 წ-ს შეადგინა 0.7 ტ/ჰა, [1] რაც საკმაოდ და-გალია, ხოლო მთლიანად გოსტევულის თვითუზრუნველყოფამ კი 64 %[2]. (საძარღველო მისი გოო და კლიმატური მონაცემებით, არათუ უდიდა უზრუნველყოფას და ანაცვლებლის იმარ-ტირებულ გოსტეულს არამაღ ესაკორსაც საკმაოდ ცარმატო-ბით უდიდა ახორციელებლის).



გასათვალისწინებელია მისი მაღა-ლი საბაზრო ფასიც. ლობიოს საქარ-თველოში თითქმის ყველა რეგიონში მოწყავთ (ზღვის დონიდან 1600 მეტ-რამდე) ძირითადად სამარცვლედ, ხოლო საპარკედ მისი მოყვანა მცირე ფართობზე მოსახლეობის ნაკვეთებ-ში, ხოლო შედარებით დიდ ფართო-ბებზე საკურორტო, საკონსერვო და ქალაქის საგარეუბნო ზონებში წარ-მოებს.

ლობიოს მწვანე პარკზე მოთხოვ-ნილება მოსახლეობას არა სეზონურ პერიოდშიც გააჩნია, ამას მოწმობს პარკი ლობიოს შენახვა ზამთრისთ-ვის დაკონსერვებული, ჩირის, მწინ-ლის და სხვა სახით. ლობიოს მწვანე პარკი შესანიშნავი სასურსათო პრო-დუქტია, მისგან მზადდება სხვადასხ-ვა სახის კერძი, მისი მონებებადობის კოეფიციენტი 85%. მისი ცილა მონე-ბებადობის მიხედვით უახლოვდება ცხოველურ ცილას.

ლობიოს მწვანე პარკი მდიდარია ცილებით და ნახშირწყლებით, დიდი რაოდენობითაა ვიტამინები, მინე-რალური მარილები და სხვა. ადამი-ანის ჯანმრთელობისთვის ლობიოს მრავალი დადებითი გავლენა აქვს. ლობიოს პარკი, განსხვავებით მარც-ვლისაგან არ შეიცავს მავნე ნივთე-რებებს, განსხვავებით მარცვლისგან ცილების შემცველობა მცირეა ჯიშე-

ბის მიხედვით მერყეობს 2-5%-მდე, მაგრამ მდიდარია ვიტამინებით: C, A, E და B, შეიცავს ფოლიუმის მჟავას, მინერალურ მარილებს: მაგნიუმს, კა-ლიუმს, ფოსფორს და სხვა. ლობიოს შეიცავს რეინას, ამიტომ რეკომენდი-რებულია მისი მიღება ანემიის დროს. პარკი ლობიოს შედის შაქრიანი დიაბე-ტით დაავადებულთა კვების რაციონ-ში, ის ამცირებს შაქრის დონეს სის-ხლში, მის შემცველობაში არის ნივ-

თიერება არგინინი, რომელიც მოქმე-დებს მსგავსად ინსულინისა. ლობიო დადებითად მოქმედებს ადამიანის ნერვიულ სისტემაზე, ამშვიდებს და აწყნარებს მას. პარკილობიოს შარდ-მდენია და გამოყოფს ორგანიზმი-დან ზედმეტ მარილებს, მისი მიღება რეკომენდირებულია უჭ-ნაწლავის დავადების მქონე ადამიანებისთვის, ლვიძლისა და ნალვლის ბუტის კლი-ნიკური მკურნალობის დროს. ლობიო დადებით გავლენას ახდენს ნივთი-ერებათა ცვლის ალდგენაზე. მისგან მზადდება სამკურნალო ცილოვანი პრეპარატები რომლებიც აფერხე-ბენ ათეროსკლეროზის ნარმოშობას. ლობიოს ფევილისაგან ამზადებენ კანის სამკურნალო მაღამოს. მწვანე პარკი ხელს უწყობს საჭმლის მონე-ბებას, ეხმარება ორგანიზმს ბრონ-სიტის და რევმატიზმის დროს.

ლობიოს ცილა შეიცავს მრავალ

ესენციურ ამინომჟავას (რომელთა სინთეზი ადამიანის ორგანიზმში არ ხდება და ის მზა სახით უნდა იქნას მი-ლებული) ესენია: ლიზინი, ჰისტიდინი, ტრიპტოფანი, ცისტინი და სხვა. 100 გრ პარკი ლობიოს გააჩნია 24 კეალო-რია და შესანიშნავი დიეტური საშუა-ლებაა გახდომისათვის. ყოველივე ამ და სხვა დადებითი თვისებების გამო იგი მოსახლეობის ფართო მოხმარე-ბის სასურსათე პროდუქტია.

იქედან გამომდინარე, რომ მოსახ-ლეობა ადრე გაზაფხულზე (არასე-ზონურ პერიოდში) უზრუნველყო-ფილი იყოს ლობიოს ნედლი პარკით, მიზნად დაისახა მარნეულის მუნიცი-პალიტეტის შულავერის მზის თბი-ერების სათბურში ჩატარებულიყო ცდები საპარკე ლობიოს მოვლა-მოყ-ვანაზე. დაკვირვება წარმოებდა ორ ჯიშზე; ადგილობრივი „კუტი საპარ-კე“ და მაღალ მოზარდ (მხვიარა) სა-ტაცურისებრ ლობიოზე. თესვა ჩა-ტარდა 2017-2018 წლებში თებერვ-ლის შუა რიცხვებში.

პირველი ვარიანტი: ჩითილი გამოყ-ვანილ იქნა საჩითილე კასეტებში და გადაირგო, ხოლო მეორე ვარიანტ-ში თესვა ჩატარდა ბაზოებზე, ორივე შემთხვევაში მწვანე პარკი თითქმის ერთდროულად დაიკრიფა მიუხედა-ვად იმისა, რომ საჩითილეში მცენა-რეები უფრო სწრაფად აღმოცენდა

ცხრილი 1. მწვანე პარკის ორი წლის(2017-2018) საშუალო მოსავალი (90 კვმ)

| № | ჯიშების დასახლება     | I კრეფა             |               | II კრეფა             |               | III კრეფა             |               |
|---|-----------------------|---------------------|---------------|----------------------|---------------|-----------------------|---------------|
|   |                       | კრეფის დრო          | მოსავა-ლი კგ. | კრეფის დრო           | მოსავა-ლი კგ. | კრეფის დრო            | მოსავა-ლი კგ. |
| 1 | ლობიოს სატაცურისებრი  | ივნისის მეორე კვირა | 93            | ივნისის მესამე კვირა | 110           | ივნისის მეოთხე კვირა  | 38            |
| 2 | ლობიოს „კუტი საპარკე“ | მაისის მესამე კვირა | 77            | მაისის მეოთხე კვირა  | 85            | ივნისის პირველი კვირა | 45            |

ცხრილი 2. მზის თბიერების სათბურში საპარკე ლობიოს მოყვანისათვის შესასრულებელი სამუშაოების ვადები.

| №  | განხორციელებული სამუშაოები                         | თებერვალი |    |     |    | მარტი |    |     |    | აპრილი |    |     |    | მაისი |    |     |    | ივნისი |    |     |    |
|----|--|-----------|----|-----|----|-------|----|-----|----|--------|----|-----|----|-------|----|-----|----|--------|----|-----|----|
|    |  | I         | II | III | IV | I     | II | III | IV | I      | II | III | IV | I     | II | III | IV | I      | II | III | IV |
| 1  | თესვა კასეტებში                                    |           | ●  |     |    |       |    |     |    |        |    |     |    |       |    |     |    |        |    |     |    |
| 2  | ჩითილის მოვლა                                      |           |    | ●   | ●  |       |    |     |    |        |    |     |    |       |    |     |    |        |    |     |    |
| 3  | ნიადაგის დამუშავება(მოტობლოკით)                    |           |    |     | ●  |       |    |     |    |        |    |     |    |       |    |     |    |        |    |     |    |
| 4  | ბაზოკვლების მოწყობა                                |           |    |     | ●  |       |    |     |    |        |    |     |    |       |    |     |    |        |    |     |    |
| 5  | წვეთოვანი სარწყავი მიღების გაშლა                   |           |    |     |    | ●     |    |     |    |        |    |     |    |       |    |     |    |        |    |     |    |
| 6  | პლასტიკური მულჩის გადაკვრა                         |           |    |     |    | ●     |    |     |    |        |    |     |    |       |    |     |    |        |    |     |    |
| 7  | ჩითილის გადარგვა                                   |           |    |     |    |       | ●  |     |    |        |    |     |    |       |    |     |    |        |    |     |    |
| 8  | მორწყვა და ვენტილაციის რეგულირება                  |           |    |     |    |       | ●  | ●   | ●  | ●      | ●  | ●   | ●  | ●     | ●  | ●   | ●  | ●      | ●  | ●   | ●  |
| 9  | პოლიპროპლენის ძაფის ჩამობმა                        |           |    |     |    |       |    | ●   |    |        |    |     |    |       |    |     |    |        |    |     |    |
| 10 | მწვანე პარკის მოკრეფა სამჯერ ლობიო „კუტი საპარკე“  |           |    |     |    |       |    |     |    |        | ●  | ●   | ●  |       |    |     |    |        |    |     |    |
| 11 | მწვანე პარკის მოკრეფა სამჯერ ლობიო „სატაცურისებრი“ |           |    |     |    |       |    |     |    |        |    | ●   | ●  | ●     |    |     |    |        |    |     |    |
| 12 | სათბურის გასუფთავება ნარჩენებისაგან                |           |    |     |    |       |    |     |    |        |    |     |    |       |    |     |    |        |    |     | ●  |

და განვითარდა, ხოლო გადარგვის შემდგომ კი თითქმის ერთნაირად განვითარდა ორივე ვარიანტი. ორივე წელს ჩატარდა სამ-სამი კრეფა, ხოლო შემდეგ ძლიერი სიცხეების გამო

შეჩერდა მცენარის განვითარება (ვინაიდან სათბური არის გადახურული პოლიეთილენის საფარით, რომელიც არ ეხდება). თითოეული ჯიში დათესილ იქნა 90-90 მეტრ კვადრატ ფარ-

თობზე. ცდიდან მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში №1.

სატაცურისებური ლობიოს პარკის სიგრძემ საშუალოდ შეადგინა 70-80 სმ. ხოლო კუტი საპარკესი 20-25 სმ.

ადრე გაზიარებულზე მზის თბიერების სათბურში ლობიოს პარკის მიღება მიზანშეწონილია საბაზო ფასიდან გამომდინარე, ამ პერიოდში საქართველოს მეტ წილ რეგიონებში ღია გრუნტში ლობიოს მწვანე პარკი შემოსული არ არის. გარდა ამისა სათბურში ძირითადად მოპყავთ კიტრი ან პომიდორი, სათბურის სწორი ექსპლოატაციისთვის საჭიროა კულტურათა მორიგეობა განსაკუთრებით კი პარკოსანი კულტურები არის მიზანშეწონილი ნიადაგის გამაუმჯობესებელი თვისებების გამო.

როგორც ეკონომიური პარამეტრების ცხრილიდან ჩანს, სატაცურისებური ლობიოს მოყვანის შემთხვევაში მოგება (100 მეტრ კვადრატზე) არის 307.75 ლარი, რენტაბელობა 74%, ხოლო 1 კგ. ლობიოს მწვანე პარკის მოყვანისათვის დანახარჯი 1.72 ლარი.

„კუტი საპარკეს“ მოყვანის შემთხვევაში მოგება არის 292.5 ლარი, რენტაბელობა 89%, ხოლო 1 კგ მწვანე პარკის მოყვანის დანახარჯი 1.59 ლარი. გაანგარიშებები გათვლილია დაქირავებული მუშახელის შემთხვევაში.

თუ მოვლა-მოყვანისათვის საჭირო სამუშაოებს შესარულებს თვითდასაქმებული, სატაცურისებური ლობიოს მოყვანის შემთხვევაში დანახარჯი იქნება 135 ლარი, მოგება 589 ლარი, რენტაბელობა 440%, დანახარჯი 1 კგ

ცხრილი 3. მზის თბიერების სათბურში სატაცურისებური ლობიოს მოყვანის ეკონომიკური პარამეტრები. (100 მეტრ კვადრატზე)

| №  | ჩამონათვალი მასალა             | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეული ფასი ლარი | დარებული ლარი |
|----|--------------------------------|---------------|-----------|-------------------|---------------|
| 1  | სათესლე მასალა                 | კგ            | 0.3       | 10                | 3             |
| 2  | ორგანული სასუქი                | ტ             | 0.3       | 70                | 21            |
| 3  | პოლიეთილენის მულჩი             | გრძ.მ         | 100       | 0.25              | 25            |
| 4  | პოლიპროპ. ძაფი (შპალერისთვის)  | კგ.           | 1         | 7.5               | 7.5           |
| 5  | საჩითილე კასეტა                | ცალი          | 10        | 1                 | 10            |
| 6  | სუბსტრატი                      | მ.კუბი        | 0.05      | 300               | 15            |
| 7  | აგრო პერლიტი                   | ლიტრი         | 5         | 0.5               | 2.5           |
| 8  | წვეთოვანი სარწყავი მიღები      | გრძ.მ.        | 200       | 0.25              | 50            |
|    | ჯამი                           |               |           |                   | 134.00        |
|    | სამუშაოები                     |               |           |                   |               |
| 10 | თესვა კასეტებში                | კაცდლე        | 0.5       | 25                | 12.5          |
| 11 | ჩითილის მოვლა                  | კაცდლე        | 1.5       | 25                | 37.5          |
| 12 | ნიადაგის დამუშ. (მოტობლოკით)   | კაცდლე        | 0.5       | 25                | 12.5          |
| 13 | ბაზოკვლების მოწყობა            | კაცდლე        | 1         | 25                | 25            |
| 14 | წვეთოვანი სარწყ. მიღების გაშლა | კაცდლე        | 0.25      | 25                | 6.25          |
| 15 | პლასტიკური მულჩის გადაკვრა     | კაცდლე        | 0.5       | 25                | 12.5          |
| 16 | ჩითილის გადარგვა               | კაცდლე        | 0.5       | 25                | 12.5          |
| 17 | მორწყვა და ვენტილაციის რეგულ.  | კაცდლე        | 3         | 25                | 75            |
| 18 | პოლიპროპლენის ძაფის ჩამობმა    | კაცდლე        | 1         | 25                | 25            |
| 19 | მწვანე პარკის მოკრეფა სამჯერ   | კაცდლე        | 1.5       | 25                | 37.5          |
| 20 | სათბურის გასუფთ. ნარჩენებისგან | კაცდლე        | 1         | 25                | 25            |
|    | ჯამი                           |               |           |                   | 281.25        |
|    | დანახარჯი                      | ლარი          |           |                   | 415.25        |
|    | შემოსავალი სამი მოკრეფიდან     | კგ            | 241       | 3                 | 723           |
|    | მოგება                         | ლარი          |           |                   | 307.75        |
|    | რენტაბელობა დანახარჯთან %      | ლარი          |           |                   | 74            |
|    | დანახარჯი 1 კგ.                | ლარი          |           |                   | 1.72          |

### პარკის მიღებისთვის 0,56ლ.

„კუტი საპარკის“ შემთხვევაში დანახარჯი არის 125,5 ლარი, შემოსავალი 621 ლარი, მოგება 492,5 ლარი, რენტაბელობა 383%, 1კგ მწვანე პარკის მოყვანისთვის დაიხარჯა 0,62ლარი.

გაანგარიშების შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით ლობიოს მწვანე პარკის მოყვანა მარტივი ტიპის მზის სათბურში მომგებიანია როგორც ფინანსურად, ასევე აგროტექნიკური ოფიციალური თვალსაზრისით; სათბურში კულტურათა მორიგეობისთვის და ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების მიზნით.

**ა. მარტივი ტიპი,  
ს/მ დოქტორი, ს.მ. სამეცნიერო-  
კვლევითი ცენტრი;**

**ბ. ჰატივი ტიპი,  
ს/მ დოქტორი, ს.მ. სამეცნიერო-  
კვლევითი ცენტრი;**

**ღ. ტემპერატურული  
დოქტორანტი, ს.მ. სამეცნიერო-  
კვლევითი ცენტრი**

- [1] საქატატის მონაცემები
- [2] საქატატის მონაცემები

**ცხრილი 4. მზის თბიერები სათბურში კუტი საპარკე ლობიოს მოყვანის ეკონომიკური პარამეტრები. (100 მეტრ კვადრატზე)**

| №  | ჩამონათვალი მასალა             | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეული ფასი ლარი | ლირებულ ლარი |
|----|--------------------------------|---------------|-----------|-------------------|--------------|
| 1  | სათესლე მასალა                 | კგ            | 1         | 5                 | 5            |
| 2  | ორგანული სასუქი                | ტ             | 0.3       | 70                | 21           |
| 3  | პოლიეთილენის მულტი             | გრ.მ          | 100       | 0.25              | 25           |
| 5  | საჩითილე კასეტა                | ცალი          | 10        | 1                 | 10           |
| 6  | სუბსტრატი                      | მ.კუბი        | 0.05      | 300               | 15           |
| 7  | აგრო პერლიტი                   | ლიტრი         | 5         | 0.5               | 2.5          |
| 8  | ნეეთოვანი სარწყავი მიღები      | გრ.მ.         | 200       | 0.25              | 50           |
|    | ჯამი                           |               |           |                   | 128.5        |
|    | სამუშაოები                     |               |           |                   |              |
| 10 | თესვა კასეტებში                | კაცდლე        | 0.5       | 25                | 12.5         |
| 11 | ჩითილის მოვლა                  | კაცდლე        | 1.5       | 25                | 37.5         |
| 12 | ნიადაგის დამუშ. (მოტობლოკით)   | კაცდლე        | 0.5       | 25                | 12.5         |
| 13 | ბაზოკვლების მოწყობა            | კაცდლე        | 1         | 25                | 25           |
| 14 | ნეეთოვანი სარწყ. მიღების გაშლა | კაცდლე        | 0.5       | 25                | 12.5         |
| 15 | პლასტიკური მულტის გადაკვრა     | კაცდლე        | 0.5       | 25                | 12.5         |
| 16 | ჩითილის გადარგვა               | კაცდლე        | 0.5       | 25                | 12.5         |
| 17 | მორნცვა და ვენტილაც. რეგულირ.  | კაცდლე        | 3         | 25                | 75           |
| 19 | მწვანე პარკის მოკრეფა სამჯერ   | კაცდლე        | 1.5       | 25                | 37.5         |
| 20 | სათბურის გასუფთ. ნარჩენებისგან | კაცდლე        | 1         | 25                | 25           |
|    | ჯამი                           |               |           |                   | 200          |
|    | დანახარჯი                      | ლარი          |           |                   | 328.5        |
|    | შემოსავალი სამი მოკრეფიდან     | კგ            | 207       | 3                 | 621          |
|    | მოგება                         | ლარი          |           |                   | 292.5        |
|    | რენტაბელობა დანახარჯთან %      | ლარი          |           |                   | 89           |
|    | დანახარჯი 1კგ.                 | ლარი          |           |                   | 1.59         |

### სიახლე

## მარცვის მოყვანა სუსტრუქტის კვლები

მარცვი დღეს სუსტრუქტის სათბურის სუბსტრუქტის კვლები მოყვანათ. მოყვანის ასეთი მიზანი ზველა ზერმომისთვის ხელისაწვდომია, რადგან ტექსტურობის სათბურის გადაკვრა არ არის სათბურის აგება. ასეთი მეთოდის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ შეგვიძლია გამოვიყენოთ სუფთა, უპათოგენო და დაუავადებელი სუბსტრუქტი.

მაგალითად „Wave Plus“-ის ახალი კონტეინერი სპეციალურად არის შექმნილი სუბსტრუქტიზე მარწყვის მოსაყვანად.

„Wave Plus“-ის კონტეინერების გამოყენება შეიძლება არა მარტო კვლებზე, არამედ სტანდარტულ, მა-

ლალ თაროებზე, როგორც სათბურში, ისე ღია ცის ქვეშ. კონტეინერები ასევე მოსახერხებელია რკინის საბჯენებზე ჩამოსაკიდებლად.

ახალი კონტეინერი უფრო ფართოა და მასში მეტი სუბსტრუქტი თავსდება, უკეთესად იდება ნავის პროფილზე და შესაბამისად, უფრო სტაბილურია.

ფართო კონტეინერში უფრო მეტი ადგილია მცენარისთვის და მაში მარწყვი ერთმანეთის პირისპირ შეიძლება დაირგოს და არა ჩვეულებრივ, ჭადრაკულად.

კომპანია „ბატონს“ კვლებების განყოფილებამ მრავალი ექსპერიმენ-



ტი ჩაატარა, რათა მიეღოთ ისეთი პროდუქტი რომელიც წარმოების მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. კომპანიის წინაშე იდგა ამოცანა, რაც შეიძლება უფრო მეტად გაეიმოლებინათ და გაემარტივებინათ მარწყვის მწარმოებლების შრომა მაქსიმალური შედეგის მისაღებად.

# ქლიავის ჯიშები, ხალის გამონა, მოვლა-კატრონება

ქლიავი კურნალობით გამოსავათია კულტურული მდიდარია ბ და PP ვი-ტრამინებით, რომელიც არის ნერვული სისტემის გამაჯანსაღებელი. ქლიავის მიღება ხსნის დაღლილობას, აუმჯობესებს ძილს და მხედველობას. მისი ნაყოფი დიდი რაოდენობით შეიცავს რენინას, ნატრიუმს, კალიუმს და სპილენძს, რომელიც აუმჯობესებს სისხლს, იცავს მას ტრომბის ნარმოქ-მნისაგან და ჭარბი ქოლესტერი-ნის დაგროვებისაგან.

**გავრცელების ზონები**

ეს კულტურა გავრცელებულია დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე. საქართველოში იგი კარგად ხარობს და მოჰყავთ აფხაზეთში, აჭარაში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, ქართლ-კახეთში და სამხრეთ სა-ქართველოში.

## პირითადი სახეობები და ჯიშები

სამრეწველო დანიშნულებით გამოიჩინა შენაური ქლიავი და ჩინურ-იაპონური სახეობები. ყველაზე მეტად ნაყოფის შეფერი-ლობითა და ფორმის მიხედვით განასხვავებენ ქლიავის შემდეგ სახეობებს:

**უნგრულები** – მუქლურჯად შეფერილი, მოგრძო თავში და შევიწროებული ბოლოში. ამათგან გავრცელებული ჯიშებია: სტენლი, შავქლიავა, იტალიურ-უნგრულა.

**რენკლოდები** – მომწვანო მოყვითალო, მოგვალი ნაყოფებით. ამათგან გავრცელებული ჯიშებია: ალტანისერენკლოდი და მწვანე რენკლოდი. კვერცხისებრი ქლიავები – მსხვილი კვერცხისებრი ფორმის ყვითელი ან ნითელი ნაყოფებით, ამათგან გავრცელებული ჯიშებია: ვაშინგტონი და ჯეფერსონი. ყველა ეს ჯიშები შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებისა და მოვლის პირობებში ხარობს თითქმის ყველგან, სადაც ხარობს ქლიავის რომელიმე ჯიში.



## პიოლოგიური

### თავისებურებანი

ქლიავი არის სინათლის, სითბოს და ტენის მოყვარული, ყინვაგამძლე კულტურა, იგი იტანს  $20-25^{\circ}\text{C}$  ყინვას. მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვა ხილთან (გვამლი, მსხალი) შედარებით დაბალია და არ აღემატება  $45-60$  ნელს. ახალგაზრდა ასაკში ძლიერ იზრდება, ხოლო მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ ზრდის პროცესი

ბის შესაბამისად შეიძლება დაირგოს  $4\times 4$  მ,  $4\times 5$  მ,  $4\times 6$  მ,  $5\times 6$  მ,  $5\times 7$  მ და  $5\times 8$  მ კვების არით.

საერთოდ უნგრულა ჯიშის ქლიავს უფრო მეტ კვების არეს აძლევენ ვიდრე რენკლოდის ჯიშს. დარგვის ნინორმობი იჭრება  $0,5$  მეტრის სილორმეზე და  $0,7$  მტ. ზომაზე. გამზადებულ ორმოში აუცილებლად შეაქვთ  $15-20$  კგ. ნინასწარ მომზადებული ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკალი, ტორფინაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა ორგანული ნარმომავლობის კომპოსტი). თითო ორმოში ასევე უნდა შევიტანოთ 50 გრ. ფოსფოროვანი და 30 გრ. კალიუმიანი სასუქი.

## მოვლა-კატრონება

მცენარის განვითარების პირველ წლებში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვარჯის ფორმირებასა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა ჩატარებას. ხების მნერივი თავისუფალი უნდა იყოს სარეველებისაგან, რაც მიიღწევა გამოთოხნით, გაფხვიერების სპეციალური მანქანების გამოყენებით, ჰერბიციდების შეტანით ან დამულჩვით.

**მულჩირება** მწერივში ნიადაგის მოვლის ყველაზე პერსისექტიული მეთოდია. ამისათვის იყენებენ ნახერს, ნამჯას, ტორჭს, თივას გადამწვარ ნაკელს, კომპოსტის სხვადასხვა სახეობებს და სხვა საშუალებებს, რომლებიც ხის გარშემო სქელ ფენად ( $10-20$  სმ.) იყრება. ეს მეთოდი საშუალებას იძლება, რომ შეინარჩუნოთ სინესტე, შეაფერხოს სარეველების განვითარება, გააუმჯობესოს ნიადაგის კულტურა და გამდიდროს იგი ორგანული ნივთიერებებით. გარდა ამისა სამულჩედ შესაძლებელია გამოვიყენოთ არაორგანული ნარმომავლობის მასალები: პოლიეთოლენის ფირი, ტოლი, რუბერიდი და სხვა. რიგთაშორისებში სასურველია სიდარატების თესვა, რომელიც ყვავილობის ფაზაში ნიადაგში ჩაისვნება. სიდერატები ითესება ადრე შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე.

რადგანაც მცენარე ტენის მოყვარულია, დაბლობ და გამლილ ფართობზე კარგ შედეგს იძლევა ნიადა-

## გაშენება

ბალის გაშენებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტერიტორიის სწორად შერჩევას. იგი თითქმის ყველა ტიპის ნიადაგს ეგუება. ამასთან გრუნტის ნელის სიახლოვე არ უნდა აღემატებოდეს  $1,5$  მეტრს. მცენარე კარგად ვითარდება, როცა ნიადაგის მუვანისანობაა pH  $5,5-8,0$ .

**მცენარეები ჯიშებისა და საძირე-**

გის მორწყვა. მორწყვის წესებიდან უკელაზე პროგრესულია წვეთობრივი მორწყვის სიტემის მოწყობა, რომელიც საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში მცენარეს მივაწოდოთ საჭირო რაოდენობის წყალი და საკვები ელემენტები.

ქლიავის ბალში სრულ მსხმიარობაში შესვლამდე ერთ ჰა-ზე შეაქვთ N90, P90, K70 კგ. ხოლო გადამწვარი ნაკელი 30 ტონის ოდენობით. სრულ მსხმიარობაში შესვლის შემდეგ საჭირო ჰა-ზე შევიტანოთ: N130, P120, K90 კგ. ორგანული სასუქი კი 40 ტონა.

## ნირგის გამოყვანა (გამრავლება)

ქლიავი მრავლდება თესლით და ვეგეტაციური ნესით, მაგრამ პრაქტიკაში მისი გამრავლება ხდება ამონაყრის გამოყენებით და მყნობით, თუმცა ყველა ჯიში ამონაყრებით არ მრავლდება. ამ მეთოდით ამრავლებენ ქლიავის იმ ჯიშებს, რომელთა წარმოშობა კვრინჩით და კვრინჩქლიავებიდან მოღის.

ქლიავის გამრავლება მყნობით ხდება სხვადასხვა საძირებზე, მაგრამ როგორც ნესი ხშირად ამისთვის იყენებენ ტყვემლის თესლნერგებს.

## ძლიავის ვარჯის ფორმირების (გასხვლის) თავისებურებანი

ქლიავის მცენარის ფორმირების რეკომენდირებული მეთოდებია: ცენტრალურ-ლიდერული და მრავალლი-დერული ჯამისებური ფორმა.

ქლიავის მცენარე ლიდერული ნესის დროს ფორმირება შემდეგნაირად განვითარება და განვითარება მცენარის მომდევნობის განვითარებას.

ხდება: გამოყოფენ ლიდერ-ცენტრალურტოტს, მას აცილებენ ან ამოკლებენ გვერდითა ანუ კონკურენტულ ტოტებს და ახდენენ მათ ლიდერ ტოტანდაქვემდებარებას.

გასხვლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტოტების დამოკლებას. თუ ქლიავის ჯიშს მიღრეკილება აქვს ძლიერი დატოტებისაკენ და ჩახშირებისაკენ, ამ დროს გასხვლისას უნდა მოცილდეს მხოლოდ ჩახშირებული ტოტები. დატოტების ნაკლებ უნარიან ჯიშებში კი ტოტებს ამოკლებენ 1/3-ით ან 1/4-ით. სიძერის პერიოდში ქლიავის ხეგბის გაახალზრდავება გასხვლის მეთოდით საკმაოდ კარგ ეფექტს იძლევა. ამ შემთხვევაში ვახდებით ვარჯის ძლიერ გამოხშირებას და ზედა ტოტების დამოკლებას 0,5-0,8 მეტრამდე.

## გავეგელ-დაავადებების პრემლა

ქლიავის მცენარე, როგორც სხვა დანარჩენი კურკოვნები ძალიან მგრძნობიარე არის მავნებელ-დაავადებათამიმართ. მავნებელთაგან ქლიავს აზიანებს ისეთი მავნებლები როგორიცაა ქლიავის ბუგრი, ფსილა, ქლიავის აბლაბუდიანი ტკიპა, ქლიავის ხერხია. ხოლო დაავადებათაგან ყველაზე ხშირად ზიანის მომტანია გუმოზი, ნაყოფის სიდამპლე და სხვა.

ამ მავნე ორგანიზმების წინაამდევე ტარდება ქიმიური ლონისძიებები ადრე გაზაფხულზე დაკვირტამდე და საყვავილე კვირტების გაშლამდე კომბინირებული ნაზავით, ხოლო ვეგეტაციის მთელ პერიოდში მავნე

ორგანიზმების გავრცელების და სიხშირის შესაბამისად შერჩეული პრაპარატებით. ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში მინერალური ზეთის, ფუნგიციდებისა და ინსექტიციდების დოზა და კომბინაცია სხვადასხვა.

## მოსავლის აღება

ნაყოფის კრეფის ვადები დამოკიდებულია არამარტო ჯიშზე და საძირებზე არამედ კლიმატზე, ნიადაგსა და ადგილმდებარეობაზე, ბალის დონის აგროტექნიკის დონეზე და მსხმიარობის ინტენსივობაზე.

მოსავლის აღება იწყება მშრალი ამინდის პირობებში სასურველია დილის საათებში, როცა ნაყოფი ალწევს დამახასიათებელ სიდიდეს, შეფერილობას და რბილობა იწყებს დარბილებას. თუ მოსავლის რეალიზაცია კრეფის დაწყებიდან უნდა განხორცილდეს რამდენიმე დღის შემდეგ, მაშინ ნაყოფი იკრიფება სიმწიფის დადგომამდე 4-5 დღით დრე.

კრეფა იწყება ქვედა იარუსიდან და თანდათანობით გადავდივართ ზედა იარუსებზე. ნაყოფი შეიძლება მოიკრიფოს უყუნწოთაც, მაგრამ კრეფის დონის დაუშვებელია მისი ჩამოგლეჯა, ნაყოფის ერთმანეთზე მიხეთება და დაუეუცვა.

ამასთანავე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ არ დავაზიანოთ სანაყოფე ტოტები, ხოლო აუცილებელი პირობაა ნაყოფის კრეფისას და ტარაში მოთავსებისას ნაყოფს ნაფიფე არ უნდა მოცილდეს. მონეული მოსავლის რეალიზაცია (გაყიდვა) ან ჩირად ხმობა ხდება მოსავლის აღებისთანავე.

## კაკლოვები

# კეკანი [CARYA PECAN]

უკანასკელ ლეგზი გლობალური კლიმატური ცვლილებებისა და მავრებელ-დაავადებათა ინფენირული გავრცელების ფონზე, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს სუბტონიკულ ზონაში, სასოფლო-სამუშაოების კულტურების მასიური დაზიანების გასიღირების მიზანით, ხოლო შემცირების და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგრადი გავლენის გავრცელების გაუმჯობესება დაზიანების გამოსავალის გადასახლება.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების პარალელურად მიზანშენონილია ისეთი კულტურების მოძიება და გამრავლება, რომლებიც გაცილებით მდგრადი

იქნებიან არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა და მავნებელ-დაავადებათა მიმართ. ერთ-ერთ ასეთ კულტურად შესაძლებელია მივიჩინოთ პეკანი, რომელიც კავკავიან კულტურებს შორის ფართო მოხმარებით გამორჩევა.



პეკანი, როგორც მაღალმოსავლიანი, ხანგრძლივად მოზარდი კაკლოვანი მცენარეა. პეკანის ნაყოფი, რო-



მელიც შეკრებილია მტევნისებურად ძალიან ჰგავს კავალს. ის ხასიათდება საუკეთესო გემოთი და მაღალი კალორიულობით, მისი კაკლის გული შეიცავს 80% ცხამს, 11,3% ნახშირნებლებს 10,3% პროტეინს. ნაყოფი გამოიყენება საკონდიტრო წარმოებაში, კულინარიაში. პეკანის მოუმნიფებელი ნაყოფები შეიცავენ დიდი რაოდენობით ვიტამინ C-ს, რომლისგანაც ამზადებენ მურაბას. პეკანის ნარგაობა ფართოდ გამოიყენება ხეივნების მოსანყობად, რადგან იგი ხანგრძლივად მზარდი ლამაზი მცენარეა. პეკანის ფოთლები ფიტონციდების მაღალი შემცველობის გამო გამოიყენება კოლოებისა და სხვა მაგნე მწერების ნინაალმდევ საბრძოლველად.

პეკანის სამშობლო ჩრდილო ამერიკაა, საქართველოში პირველად 1901 წელს შემოიტანეს ჩაქვში. პეკანის საუკეთესო ჯიშების კოლექცია თავმოყრილი იყო სოხუმის სახელექციო სადგურში, საიდანაც მისი პერსექტიული ჯიშები ფართოდ გავრცელდა შავი ზღვის სანაპირო სუბტროპიკულ ზონაში, მუა აზის რესპუბლიკებში, ყირიმსა და აზერბაიჯანში. ჩვენთან გავრცელებული პეკანის ჯიშებია: შლეი, სტიუარტი, კერტისი, ინდიანა, ფროტჩერი და სხვა. პეკანი საუკეთესოდ ეგუება მუავე რეაციის მქონე ნითელმინა, ენერმინა და ყვითელმინა ნიადაგებს, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი კაკალი ასეთ ნიადაგებზე სუსტი ზრდით და ადრეული ხმობით ხსიათდება. პეკანის ძირითად ნაკალს ნარმოადგენს ნათესარების გვიან შესვლა მსხმოიარობაში, მენტეობა და ზოგი ჯიშებთვის წვრილთესლიანობა: ამ მიმართულებით ფართო სელექციური მუშაობა მიმდინარეობდა გასული

საუკუნის 70-90-იან წლებში ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში, სადაც გამოყვანილია პეკანის უხვადმისხმოიარე მსხვილნაყოფა და რეგულარულად მსხმოიარე ფორმები. (პ. თუთბერიძე). (ც. ქაშაკაშვილი). სამწუხაროდ დღეისათვის ერთული ხების სახითაა შემორჩენილი პეკანის სელექციური ფორმები – ამ მხრივ აუცილებელია მათი მომიება და საკოლექციო ბალის გაშენება. საქართველოში მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე თუ ყოფილ სატყეო მეურნეობებში გაშენებული პეკანის ნარგაობა საკმაოდ ხანდაზმული და მობერებული (60-70 წელი), რის გამოც დღის წესრიგში დგება ნარგაობის განახლების აუცილებლობა მაღალმოსავლიანი, მსხვილნაყოფა ჯიშებითა და ფორმებით.

მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია. პეკანი ტენის მოყვარული მცენარეა, თუმცა ჭარბ ტენს ვერ ეგუება ისე, როგორც ვერ ეგუება ნიადაგის ზედმეტ სიმშრალეს. პეკანისათვის საუკეთესოა ტენიანი თიხნარი ნიადაგები, რომელიც მდიდარია ჰუმუსით. შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ასევე საქართველოს სხვა რეგიონებში პეკანი ყინვებისაგან არ ზიანდება, მას შეუძლია დაუზიანებლად გადაიტანოს ტემპერატურის ხანმოკლე დაცვემა -29-30 გრადუსამდე. თუმცა როგორც სხვა კაკლოვნები პეკანის ყვაველები ზოგჯერ ზიანდება გვიანი გაზაფხულის წაყინვებით.

პეკანი ჯვარედინად დამამტევრიანებელი მცენარეა, ამიტომ თესლით გამრავლებისას ითიშება და მიიღება დედა მცენარისაგან განსხვავებული თაობა. ძვირფასი ჯიშების ნიშანთვისებების შესანარჩუნებლად მიმარ-

თავენ კაკლის ვეგეტატიურად ანუ მყნობით გამრავლებას. საძირედ გამოიყენება იგივე პეკანის 2 ნლიანი ნათესარები.

პეკანის კაკლის სანერგებში დასათესად თესლს ამზადებენ ჯანმრთელი და უხვმსხმოიარე ხებისაგან. სანერგისათვის განკუთვნილი ნიადაგი ღრმად (40-45 სმ) იხვნება, შეაქვთ ორგანული 35-40 ტ ნაკელი – ფოსფორვანი და კალიუმიანი სასუქები. ზედაპირის მოსწორების შემდეგ გაყავთ 8-10 სმ სილრმის სათესი კვლები, რომლებიც ერთმანეთისგან დაშორებულია 70-სმ-ით. კვალში პეკანის თესლს ზურგზე დაწვენილად აწყობენ ერთმანეთთან 20 სმ-ით დაშორებით. კვლებს ტკეპნიან და ყოველ 5 მეტრში უსობენ ჭიგოს კვლის აღსანიშნავად. თესვა შესაძლებელია გვიან შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე. აუცილებელია სანერგებში კვლების რეგულარული განმენდა სარეველებისაგან, ნიადაგის გაფევირება, მორნყვა და გამოკვება აზოტისა და ფოსფორის მცირე დოზებით. ასევე მიზანშეწონილია თხევადი ორგანული სასუქების „ორგანიკა“ და „ჯეო-ჰუმატის“ გამოყენება.

კარგი მოვლის პირობებში ორწლიანი პეკანის თესლნერგი 60-70 სმ სიმაღლეს აღწევს და როგორც საძირე საუკეთესო სამყნობ მასალას წარმოადგენს. დასამყნობი მასალა კალმების სახით აღებული უნდა იქნეს ნინასწარ აპრობირებული სადედე დე ხებიდან. მყნობის საუკეთესო დროა ზაფხული, ივნისიდან აგვისტომდე, თუმცა არიან სპეციალისტები, რომელებიც საგაზაფხულო ვადასაც იყენებენ. კაკლის მყნობა რთული ტექნოლოგიური პროცესია და მას მხოლოდ გამოცდილი მყნობელ-სპეციალისტები ატარებენ. მყნობიდან მეორე წელს ნერგები 1,5-2,0 მეტრ სიმაღლეს აღწევს და ვარგისია სამრეველო ბალების გასაშენებლად. დღეისათვის კერძო სანერგებში ფერმერები პეკანის საძირეებს აქტიურად იყენებენ ჩვეულებრივი ნიგზის სის და ჯუჯა კაკლის „ჩანდლერის“ კვირტების დასამყნობად და გასამრავლებლად.

როგორც აღვინიშნეთ საქართველოში პეკანის გაშენების არეალი ფართოა, თუმცა მისთვის ყველაზე ხელსაყრელი მაინც დასავლეთ საქართველოს თბილი და ტენიანი კლიმატური პირობებია.

პეკანი შესაძლებელია გაშენდეს როგორც პლანტაციების ასევე ინდივიდუალური ნარგავების სახით.

პლანტაციების გასაშენებლად შერჩეულ ფართობს წინასწარ ასუფთავებენ და ხნავენ 50-60 სმ. სიღრმეზე პლანტაციური გუთნით. ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით წინასწარ ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზების მიხედვით, ღრმად დამუშავების დროს, შეაქვთ ორგანული და მინერალური სასუქები. თუ ნიადაგის სტრუქტურა დაბალია და ასევე ლარიბისა საკვები ნივთიერებებით, მაშინ დაპლანტაციურულ ფართობზე პირველი ორი წლის განმავლობაში თესავენ მარცვლოვან და პარკოსან კულტურებს მათი ნიადაგში ჩახვნის მიზნით. სამრეწველო ბალების გაშენების წინ ნიადაგის ზედაპირს მსუბუქად გადახნავენ, მოასწორებენ და დააგეგმარებენ. სწორ ნაკვეთზე რეკომენდირებულია პეკანის კვადრატულად დარგვა 10X10 მ.ზე. კარგად დრენირებულ და ნოყიერ ნიადაგზე შესაძლებელია კვების არე გაიზარდოს 15X15 მეტრზე. ერთ ჰექტარზე თავსდება 70-100 მცენარე. კვების არე ასევე შესაძლებელია იცვლებოდეს ჯიშური მახასიათებლების მიხედვით. ვინაიდან პეკანი ნელად მზარდი მცენარეა რიგთაშორისები პირველი 7-8 წლის განმავლობაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ერთნოლიანი ან კენკროვანი კულტურების საწარმოებლად.

პეკანს რგავენ შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე. იქ სადაც პლანტაცია ჩატარებული იღებენ 50 სმ-შიღრმისა და 70 სმ სიგანის ორმოებს, ხოლო ტერასებზე ან ინდივიდუალური რევის შემთხვევაში, ორმოს სიღრმე 70 სმ და სიგანე 100 სმ უნდა იყოს. სტანდარტული ნერგების მინისზედა სიმაღლე უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 1 მეტრს, ხოლო ფესვთა სისტემის სიგრძე 35-50 სმ-ს. დარგვის წინ ორმოებში სასურველია 10 კგ. გადამწვარი ნაკელის და 50 გრ NPK- რთული კომპლექსური სასუქის შეტანა. შეტანილი კომპონენტები მინასთან ერთად კარგად აირევა და მზადდება დასაარგავად. ნერგებს აჭრიან მთავარლერდა ფესვის ერთ მესამედს, დანარჩენ ფესვებს ანანილებნ ირმოს ცენტრში, აყრიან მინას, ტკეპნიან, რწყავენ და უსობენ ჭიგოს ასაკრავად. ასევე კარგ შედეგს იძლევა დარგვის წინ ფესვთა სისტემის წუნწუხში ამოვლება. დარგვის შემდეგ მთავარ ღეროს თავს არ აჭრიან, აცილებენ მხოლოდ გვერდით ტოტებს. ნერგი რბილი სახვევით ორ ადგილზე აიკრება ჭიგოზე. ბალი მე 4-5 წლიდან შედის მსხმოიარობაში, ხოლო სრულ მოსავლიანია 10-15 წლის შემდეგ.

სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენებულ ფართობებზე კაკლის კორომების მოსაწყობად, ქარსაფარი ზოლების გასაშენებლად ან გზების გასწვრივ ხეივნების მოსაწყობად პეკანს აშენებენ ნათესარებით. ნათესების ფესვთა სისტემა გაცილებით ძლიერია და ის სწრაფად აღნევს ნიადაგის ნოყიერ შრეებს. დადგენილია, რომ ზრდასრული პეკანის ფესვთა სისტემა პერიფერიულად ძალზე შორს ვრცელდება, რის გამოც ის ხშირად მის გვერდით მზარდ სხვა სასოფლო სამეურნეო კულტურებს მძაფრ კონკურენციას უწევს. პეკანის სამრეწველო ბალებში ყოველწლიურად წარმოებს ნიადაგის ზედაპირული გაფხვიერება, რიგთაშორის გაცელვა, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა ერთ ხეზე საშუალოდ გადამწვარი ნაკელი 50 კგ. რთული მინერალური სასუქი NPK – 1 კგ. რაოდენობით. გვალვიან პერიოდში მაღალეფექტურია მორნყვა.

როგორც აღვნიშნეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკული არსებული პეკანის ნარგაობა საკმაოდ ხანდაზმულია. აუცილებელია ნარგაობის განახლება და ახლის გაშენება არამარტო ინდივიდუალურ საკარმიდამო სავარგულებზე, არამედ საზოგადოებრივ დღემდე გამოყენებებს ფართობზე. აქვე შეგვიძლია მოსახლეობას მივცეთ რჩევა – იმის თაობაზე, რომ პეკანი რომელიც გაცილებით იმუნურია სოკოვანი და ბაქტერიული დააგადებების მიმართ სხვა კაკლოვნებთან შედარებით, იძლევა სტაბილურ მოსავალს, ნაყოფი ინახება ხანგრძლივად და მიზანშე

წონილია მისი კულინარიაში და სხვა დანიშნულებით ჩვენთვის სასურველ დროს გამოყენება.

პლანტაციური გლობალურ კლიმატურ ცვლილებებთან ერთად იცვლება ცოცხალი ორგანიზმების საარსებო პირობებიც, ამიტომ შესაძლებელია ბევრი კულტურული ე.ნ. „ნაზი“ ჯიშები განადგურდეს, შენარჩუნდეს მხოლოდ ძლიერი კონსტანტური თვისებების მქონე და მავნებელ-დაავადებათა მიმართ იმუნური ჯიშები; სწორედ ასეთ ჯიშათ კაკლოვანთა ოჯახში პეკანი მოისაზრება.

#### ლიტერატურა:

- ზ. გაბრიჩიძე – ეკოლოგია – ეს ყველას ეხება. „აგრალური საქართველო“ №9. 2017წ.
- გ. ჩხაიძე – სუბტროპიკული კულტურები – თბილისი. 1996 წ.
- ც. ქაშავაშვილი – პეკანის ფორმათა ნარმოქმნა ქიმიური მუტაგენების გამოყენებით. „სუბტროპიკული კულტურები“ №1-4. 2010 წ.
- ა. კორახაშვილი – პეკანის კულტურა და მისი პერსპექტივები საქართველოში, „აგროინფო“ №3. 2006 წ.

**ზაურ გაბრიჩიძე,**  
ს.მ.მ. დოქტორი. პროფესორი;

**იოსებ გასილია,**  
სმტ დოქტორი;

**ნიკა გუბაშვილი,**  
სპეციალისტი,  
სსიპ სოფლის მეურნეობის  
სამეცნიერო კვლევითი ცენტრის  
ჩაისა და სუბტროპიკული  
კულტურების კვლევის სამსახური.



# ფაცელია - საუკათასო საკვები და თაფლოვანი მცენარე



დიდი რაოდენობით მწვანე მასის განვითარების გამო 1 ჰა 40-45 ტონა გამოიყენება მეცხოველეობაში საკვებად.

ყვავილობის ხანგრძლივი პერიოდის გამო საუკეთესო მცენარეა ფუტკრებისთვის, ამ პერიოდში შესაძლებელია 1 ჰა ზე 300-500 კგ მდე თაფლის შეგროვება. ამას გარდა მისი ნექტარი იზიდავს ენტემოფაგებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია სასოფლო სამეურნეო კულტურების ძირითადი მავნეების მწერების რიცხოვნობის კონტროლი და მათი მავნეობის მინიმალურ ზღვრამდე დაყვანა.

ფაცელია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ჩირალდანს. ფაცელიას ყვავილოვანი სტრუქტურა და ნაზი შეფერილობა მოგვაგონებს ცეცხლს, საიდანაც ნარმოიშვა მისი სახელწოდება.

ფაცელია ძირითადად გავრცელებულია ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, საიდანაც გავრცელდა ევროპასა და სწო-ს ქვეყნებში.

ფაცელია მონითალო-მოლურჯო შეფერილობისაა და შეიძლება შეგხვდეს მოყვითალო ან თეთრი შეფერილობის (იმეითად).

ფაცელია განეკუთვნება თაფლოვანი მცენარეების იმ უნიკალურ ჯიშს, რომელიც იძლევა არა მარტო უმაღლესი ხარისხის თაფლს, არა-მედ აკეთილშობილებს მინას, უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის მინერალებით, ასევე აუმჯობესებს მინის სტრუქტურას და რაც მთავარია, არის მავნეებლების დაუძინებელი მტერი. ის ეგუება ყველა ბოსტნეულ და ბალჩულ კულტურას. ფაცელიას თუ გამოვიყენებთ სიდერატად კარტოფილის ნათესში იგი დააფრთხობს კოლორადოს ხოჭოს და კარტოფილს გამდიდრებს აზოტით, კალიუმით, ფოსფორით, მანგანუმით.

ართობიანი თაფლოვანი მცენარეა, გამოირჩევა ყინვაგამდლობით. აუგვისებაში ნიადაგის თვისებებს, აერაციის გაუზრდებას. სიდერატად გამოყენებისას მავნეობა უფლებით გადამდიდრდება. ამას შემთხვევაში გამოიყენება მცენარეების გადამოწმებით გადამდიდრებით.

ფაცელია შეიძლება დაითესოს სხვა ბოსტნეულ კულტურებთანაც. თუ გაქვთ გამოუყენებელი და აუთვისებელი ტერიტორიები, დათესეთ ფაცელია და ელოდეთ თაფლის უხვ მოსავალს, მომავალ ნელს კი კი მინერალებით გამდიდრებულ მინაზე დათესეთ სხვა კულტურა, საიდანაც ასევე უხვ მოსავალს მიიღებთ.

ფაცელიას ფესვები ჩადის ნიადაგის სიღრმეში და არ ახარებს სარეველებს. მოთიქვის შემდეგ თუ დავტოვებთ ყანაში, მომავალ ნელინადს აღარ დაგჭირდებათ სასუქების ყიდვა და უსასუქოდ მიიღებთ უხვ მოსავალს.

ფაცელია ასევე შესანიშნავი საკვებია მსხვილფეხა რქისანი პირუტყვისათვის, ასევე ცხვრისა და თხისათვის.

აქვს ძალიან ტკბილი და კარგი არმატი და იზიდავს ფუტკარს.

მისი უნიკალურობა გამოირჩევა იმით რომ ყინვაგამდლეა. უძლებს 9 გრადუს ყინვას.

ფაცელია სადაც არ უნდა დავთესოთ, თავს გრძნობს შესანიშნავად. თუ დავთესავთ მზიან ადგილას მისი ყვავილები უფრო კარგად იფურჩება.

არის კარგი სადენზიფექციო საშუალება. თუ დავთესავთ მარილიან ადგილას მინას დააბრუნებს საწყის ფაზაში.

ფაცელია შესანიშნავად გრძნობს თავს გვალვაში. ხანგრძლივი გვალვების შესაძლებელია მისი მორწყვა

ერთი-ორჯერ თუ არის ამის შესაძლებლობა. ვერ იტანს დიდ სინესტეს. ერთადერთი მინუსი ის გააჩნია, რომ ვერ იტანს გადარგვას, ვინაიდან უზიანდება ფესვთა სისტემა.

ფაცელია წლის განმავლობაში შეიძლება დაითესოს 5-6 ჯერ, მონაცვლეობით, პირველი დაყვავილების შემდგომ, რაც უზრუნველყოფს კრიზისულ პერიოდში (გვალვების დროს) ფუტკრის რეაციების გადარჩენას და საკვებით მომარაგებას.

ფაცელიას გამომშრალი თესლი შეგვიძლია შევინახოთ 3-4 წლის განმავლობაში.

ფაცელია აღმოცენებას იწყებს დათესვიდან მერვე დღეს წვიმიან ამინდებში, ამიტომ სასურველია შევურჩიოთ შესაბამისი პერიოდი. მშრალი ამინდებში პერიოდში აღმოცენებას იწყებს ორი კვირის შემდეგ.

დათესვიდან 30 დღის შემდეგ იწყებს ყვავილობას.

ყვავილობა გრძელდება 20-25 დღე.

თესვის ნორმა: 10-12 კგ/ჰა; გვიან თესვისას 16 კგ/ჰა;

თესვის დრო: ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით;

თესვის სიღრმე 2 სმ.

დასათესად ნიადაგი კარგად უნდა დამუშავდეს, გაფხვიერდეს, მნიშვნელოვანი და სავალდებულოა ჩათესვის სიღრმის დაცვა, გაღივებისთვის ითხოვს სიბნელეს.



# უთხოვარი

## TAXUS BACCATA

უთხოვარი რაღიაძისა (ლათინურად REIIC TUNS - NARCENA), გან ეპსიმალურ განვითარებას გვ-სახულ პერიოდში მიაღწია. ამჟამად, ზომორ-ჩენილია 8 სახეობა, რომელთაგან განსაკუთრე-ბულ უსაბულებებს კანკროვანი უთხოვარი იმსა-ხულებს. იგი ერთადერთი ციცვოვანი სახეობაა, რომლის ნაყოფი გირჩა არ არის. კურპისაგვარი თასლი მოძვეულია კანკროვან ციცალი ფერის ნაყოფგარემოში. ნაყოფგარემო რაილია, მომტკბო, ფისის საგანია და შეტანილია ნი-თელ ნიგნში. უთხოვარის მსოფლი-ოში უდიდესი ბუნებრივი ნარგაობა 700 წ. მეტ ფართობს იკავებს ბანა-რის ხეობაში (ახმეტის რაიონი, ბანა-რა-ბაბანიულის ნაკრძალი). აქ არის საშუალოდ 750-1000 წლიანი, 18-20 მეტრის საშუალო სიმაღლის და 50-60 სმ. დიამეტრის მქონე ხეების კო-რომები, სადაც გვხვდება 25-30 მეტ-რი სიმაღლის, 1,5 მეტრზე მეტი დი-ამეტრის მქონე 2000-3000 წლოვანი ფალკეული ხეებიც. ეს კორომები განლაგებულია კავკასიონის ქედის სამხრეთის 26-35 გრადუსის დაქანე-ბის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავ-ლეთის ფერდობებზე.

საქართველოში ყველაზე დიდი ზო-მის უთხოვარია აჭარაში (სიმაღლე 32,5 მეტრი, დიამეტრი 1,2 მეტრი)

ინგლისის კენტის საგრაფოში იზ-რდება უთხოვარი, რომლის დეროს გარშემონერილობა 18 მეტრია, და-ახლოებით, 3000 წლისაა. მინინევენ, რომ იულიუს კეისრის მიერ ბრიტა-ნეთის დაპყრობამდე იგი უკვე დი-დებული ხე იყო. დასავლეთ უკრაი-ნასა და ყირიმში გვხვდება 25 მეტრი სიმაღლის და 1 მეტრი დიამეტრის მქონე უთხოვარის ერთეული ძირე-ბი, რომელთა ხნოვანება 2000-3000 წელია.



პოლონეთში, ტუხოლის ტყეში ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი ნაკ-რძალი. ხოსატასთან შემორჩენილია 70 ჰექტრიანია უთხოვარის აგარაკი, სადაც უმეტესად 600-1000 წლიანი უთხოვარის ხეები იზრდება.

ცენტრალურ ევროპაში ყველაზე ხნიერ უთხოვარად მიჩნეულია ჩე-ხეთში, ქალაქ გავლიჩუვ-ბორთან არსებული ხე, რომლის ასაკი 2000 წე-ლია (სიმაღლე 25 მ.).

უთხოვარი უაღრესად ნებმო-ზარდი მცენარეა. ნელინადში მისი სიმაღლე 2-3სმ-ით მატულობს. ყვე-ლაზე ხელსაყრელ ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში 10 წლის მან-ძილზე იგი ერთ მეტრამდე ძლივს იზრდება. მისი ნიწვები 8-10 წელი-წადას ცოცხლობენ. მთაში იგი ზღვის დონიდან 500დან 1200 მეტრამდე სი-მაღლეზე სახლობს. გარდა ნაყოფისა შეამიანია მისი ყველა ნაწილი: ახალი ყლორტები, ქერქი და ნიწვები. ისინი შეიცავს ალკალიოდ ტაკსინს, რაც ნამლავს ცხოველებს, ამიტომ მთელ რიგ ადგილებში მისი ნარგავები გა-ჩეხეს.

უთხოვარის მერქანი მკვრივი და მაგარია, მისი ნითელი გული უძვირ-ფასესი მასალაა ავეჯის დასამზა-დებლად. გულის ნითელი ფერის გამო მას ნითელ ხესაც უზოდებენ. მერქანი ფატიურად სოკოგამძლე და ულპო-ბია. მისი ბოძები საუკუნეების მან-ძილზე არა თუ ლეპება, არამედ, ფერ-საც არ იცვლის. გამსაკუთრებით

ძვირად ფასობს 250 წელზე მეტი ხნის ხეები.

ძველად მის მერქანს იყენებდნენ სარკოფაგების, მშვილდების, ძვირ-ფასი ნივთების დასამზადებლად და სამშენებლო საქმეში.

უთხოვარის ქერქი მნარეა. მისი დი-დი ხნის დუღილის შემდეგ მიიღება ნებო, რომელსაც „ჩიტების წებოსაც უზოდებენ – მას ჩიტების დასაჭერად იყენებენ.

მისი მერქანი წყალში დიდი ხნის ყოფნის შემდეგ ისფერი ხდება, ხო-ლო შემდგომში შავად შეიფერება, რაც კიდევ უფრო ზრდის მის ლირე-ბულებას.

უთხოვარი პარკების მშენებლო-ბისთვის ძვირფასი მასალაა, ახასია-თებს მრავალდერიანობა. ღეროები ხშირად ერთმანეთს უხორცდება და ლებულობს ერთიანი ღეროს ფორმას, რომლის დიამეტრი ძალიან დიდია. იგი კარგად იტანს გასხვლა-გაკრეჭ-ვას, მრავლდება თესლით და ვეგეტა-ციურად.

სახალხო მედიცინაში მის ნიწვებს იყენებენ ზოგიერთი ნერვული დავა-დების, აგრეთვე გულის დაავადებათა სამკურნალოდ.

იმან, რომ უთხოვარის მერქანს დი-დი სამეურნეო ღირებულება აქვს, გა-მოწვია მისი ნარგაობების დაზიანება – განადგურება. მათი აღდგენა-გა-ფართოება კი ძნელია, რადგან უთხო-ვარი ძალიან ნება იზრდება.

## ძმარი [პერსისტილის ნეცლად] სარეველების წილადგენერატორი



გაითვალისწინეთ, რომ ძმარი უარყოფითად მოქმედებს კულტურულ მცენარეებზეც, ამიტომ იმუშავეთ ძალიან ფრთხილად და არც ნიადაგზე უნდა დაისხას.

ძმრიანი ხსნარი უნდა გამოიყენოთ მშრალ და უქარო ამინდში, რათა შესურების შემდეგ სარეველების ფოთლებმა და ღეროებმა მოასწოროს ძმრის შენოვა – მხოლოდ მაშინა ის ეფექტის მომცემი.

მზიან ამინდში, ეს პროცესი საკმაოდ ჩქარდება. შედეგს შეუიარაღებელი გამოიყენოთ მშრალ და უქარო ამინდში, რათა შესურების შემდეგ სარეველების ფოთლებმა და ღეროებმა მოასწოროს ძმრის შენოვა – მხოლოდ მაშინა ის ეფექტის მომცემი.

სარეველების საჭიროა დამზადითა ძალიან გარტივია.

ცხალში ზავდება ჩვეულებრივი (9%-იანი) ძმარი 1:1 პროპორციით, ესხურება საეციალური ან კუსტარული შემთხვევით სარეველებს.

ლი თვალითაც შენიშნავთ. ერთ-ორ დღეში – სარეველები გაყვითლდება და ხმობას დაიწყებს.

თუ გსურთ მოსპოთ სარეველები ტროტუარის ფილებს შორის, ღობის გასწვრივ, ან ისეთ ადგილას, სადაც არ დარგული ან დათესილი არ გაქვთ კულტურული მცენარეები, ეფექტის გასაძლიერებლად, ცხელ ამინდში ხსნარს დაამატეთ მარილიც.

ზოგჯერ ძმრისა და მარილის წყლებსნარს თხევად ან გახეხილ ე.ნ. სარეცხის საპონის უმატებები.

გთავაზობთ სამუშაო ხსნარის მომზადების რამდენიმე მეთოდსა და ინგრედიენტებს:

- წყალი – 10 ლ;
- ძმარი (9%) – 2 ჭიქა 250-300მლ.;
- გახეხილი საპონი ან თხევადი საპონი – 2 სუფრის კოვზი;
- მარილი (ფხვიერი) – 2 სუფრის კოვზი.

ყველა ნივთიერება კარგად უნდა გაიხსნას ერთმანეთში და შეესხუროს სარეველებს.

**შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი ხსნარიც:**

- წყალი – 2 ჭიქა – 250-300მლ.;
- არაყი – 50 მლ;
- თხევადი საპონი – 2 სუფრის კოვზი

**თუ ექსტრემალური ვითარება შეგეძნათ:**

- ძმარი (9%) – 2 ჭიქა;
- ლიმონის მჟავა – 2 სუფრის კოვზი;
- ჭურჭლის სარეცხი საშუალება – 2 სუფრის კოვზი;
- არაყი – 50 მლ;
- წყალი – 3 ჭიქა.

**ლია მდგრადიანი**

### აგროცომის გვარდი

რუპირიკას უძღვება „ორგანის ფარმაცია“

## რა არ არის არა არა არა არა არა?

მოგვითხოვთ ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge  
ასაშეს მიღებათ შემონა „ახალი აგრარული საქართველოს“ საშუალებით.

### 1. როგორ დავიცვათ მცენარე ზონებისაგან?

პირველ რიგში, საჭიროა კულტურათა ზუსტი დარაიონება. ხეხილს ძირითადად გაზაფხულის წაყინვები აზიანებს. ბალი რომ დავიცვათ, ამისათვის ახდენენ კვამლის საფარის შექმნას. კვამლის საფარი უნდა შეიქმნას 2 საათით ადრე წაყინვებამდე და გაგრძელდეს მზის ამოსვლის შემდეგაც 2 საათი. ასევე, მიღებულია წაყინვების წინ წყლის შესხურება.

საქართველოში ზამთრის ყინვებით ვაზის დაზიანება იშვიათია. დაზიანება შეიძლება როცა -15<sup>0</sup>-ზე დაბალია ტემპერატურა. ძლიერი ყინვების დროს ახლშენი ვენახი შეიძლება შეიფუთოს და ნიადაგის ზედაპირთან კოკოლა გაუკეთდეს. მრავალნლიან ნარგაობაში შეიძლება კოკო-

ლა გაუკეთდეს ნიადაგის ზედაპირთან, შტამპთან. შტამპი როდესაც გადარჩენილია, ხდება მათგან გამოტანილი ყლორტების ნორმირება. ზოგიერთ ქვეყანაში სადაც ძლიერი ყინვებია, მიმართავენ ვენახის ნიადაგში მიმარხვას. ვაზი თუ მთლიანად მოიყინა, მაშინ იყენებენ საძირიდნ ამონაყარს და მასზე ხდება გადამყნობა.

### 2. როდის უნდა დავრგოთ კარტოფილი?

საადრეო კარტოფილის დარგვა შეიძლება ადრე გაზაფხულზე, ყინვების გასვლის შემდეგ იაროვიზებული ტუბერებით. მოსავლის აღება შეიძლება, აღმოცენებიდან ორ თვეში. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კანი არ არის გაკვრივებული.

ასევე, დარგვა შეიძლება შემოდგომაზე. შემოდგომაზე დარგვას ის უპირატესობა აქვს, რომ ზამთარში არ გვიხდება სარგავი მასალის შენახვა, თან მოსავლის აღება უფრო ადრე შეგვიძლია, ვიდრე გაზაფხულზე დარგულის. ამავე დროს, შეიძლება ტუბერის იმავე ზაფხულში დარგვა.

ზაფხულში დარგვის შემთხვევაში ნაკვეთი სარწყავი უნდა იყოს.

## 2. როგორ უდია მოვიზვანოთ ისახავი?

ისახანი ყინვაგამდლეობით გამოირჩევა. მისი თესლი გაღივებას 2-3<sup>0</sup>-ზე იწყებს. ზამთარში მისი განვითარება ნელა მიმდინარეობს. მოზრდილი მცენარეები -10<sup>0</sup>-ს-ზე მეტ ყინვას უძლებს. უფრო ძლიერი ყინვების დროს, მცენარე ფოთოლს ნაპირები უზიანდება. ითესება მნირივე-

ბად ან მობნევით. ჩათესვის სიღრმე 3-4 სმ და ერთმანეთისაგან 3-4 სმ-ით უნდა იყოს დაშორებული. ზოლებს შორის მანძილი 50-60 სმ. ისპანაზი ითესება შემოდგომაზე, ზამთარსა და ადრე გაზაფხულზე.

## 4. რას გულისხმობს მცვანი სასუჟის გამოყევია?

ენიაში მწვანე სასუჟად გამოიყენება ის მცენარეები, რომელსაც უნარი აქვს ჰაერიდან შეითვისოს აზოტი. მცენარეები უნდა ჩაიხნას ყვავილობის დროს, რათა ნიადაგმა მიიღოს მის მიერ სინთეზირებული აზოტოვანი ნივთიერებანი. ეს მცენარეებია პარკოსანი კულტურები (ცერცელა, სამყურა და სხვა). მათ ფესვებზე განვითარებული აქვთ კოურის ბაქტერიები და მათი საშუალებით ახდენენ აზოტის ფიქსაციას, როთიც ამდიდრებენ ნიადაგს. ისინი უნდა ჩაიხნას 10-15 სმ-ზე.

## ვაჟირისარის გვარდი

### რუბრიკას უძღვება „მომავლის ფარმატი“

## გარემონტ კითხვა ვერტენის მიზანით?

მოგვიხარით ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge  
ასუსტ მიიღოთ ურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ საშუალებით.

1. მყავს ხდია და გათავისობი. ადრეულ ასაკში მათ ხშირად აძვით ფალარათი. იქნებ მირჩილთ მცველობული საშუალება, რომელიც ხელს შეუცემობს აროგლების მოვარებას?

პრეპარატი „პექტოლიტ პლიუსი“ (Pectolite Plus) მრავალკონინენტიანი მცენარეული პროდუქტია, უზრუნველყოფს დიარეის სწრაფად შეჩერებას. მისი რთული კომპოზიცია სპეციალურად შემუშავებულია ხბოებისა და ბატკუნებისთვის.

პექტოლიტის შემადგენლობაში შემავალი მცენარეული პექტინი იძერება, შთანთქვს წყალს და წარმოქმნის ფენას, რომელიც იცავს ნაწლავებს. ელექტროლიტები აღადგენს წყლის ბალანსს და ამცირებს დეპიდრატიციის რისკს, ხოლო ადვილად მონელებადი ინგრედიენტები კარგ მდგომარეობაში ამყოფებს მოზარდეულს. „პექტოლიტ პლიუსი“ ასევე უზრუნველყოფს ორგანიზმში ვიტამინურ-მინერალურ კომპონენტებს, რომლებიც აუცილებელია ორგანიზმის ფიზიოლოგიური ფუნქციების შენარჩუნებისა და იმუნური სისტემის სტიმულირებისათვის. მისი სასიამოვნო არომატის და საგემოვნო თვისებების გამო, ადვილად მისაღები ხდება მადადაქვეითებული და დიარეის სიმპტომიანი მოზარდეულისთვის. გამოყენების გახანგრძლივება დასაშვებია: 1-დან 7 დღე-მდე (ან 1-დან 3 დღემდე, თუ ეს საკვების მიღების ერთადერთი საშუალებაა). საკვების გამოყენებამდე ან სარგებლობის ვადის გახანგრძლივებამდე მიმართეთ კონსულტაციებისთვის კვების სპეციალისტს ან ვეტერინარს. პრაქტიკაში სწრაფი ეფექტი მიღებულია ერთჯერადი გამოყენებისთანავე. შეძენა შესაძლებელია „როქის“ ვეტაფთიაქში (თბილის, ქეთევან ნამებულის №91-ის მოპირდაპირე მხარე. მეტრო – სამგორი).

2. მყავს გოგონია. მათ ხშირად ექვებათ ცალლავის მიმართ გამოიყენების პროცესი, კარგავინ ენერგიას. ეზოში მყავს აათარება ლეპით, რომელსაც იგივე მდგომარეობა აძვის მირჩილთ ისათი საშუალება, რომლითაც რიცვი სახეობის ცხოველში მომიგრაცია მოხდება.

პრეპარატ „Over Pectovit“-ს გააჩნია კომპლექსური მოქმედება, რომელიც მიმართულია ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზებაზე, ნაწლავის მოქმედების გაუმჯობესებაზე, ზრდის საკვების ათვისებადობას და ხელს უწყობს დიარეის შემდეგ ცხოველის მდგომარეობის სწრაფ მონესრიგებას. მის შემადგენლობაში შემავალი ნაცურალური პექტინები ამოეფინება ნაწლავის შიდა ზედაპირს, ამცირებს ნაწლავის ლორწოვანაზე პათოგენური ბაქტერიების ნეგატიურ ზემოქმედებას. შემადგენლობაში შემავალი დექსტროზა ნარმოადგენს ენერგიის ადვილად და სწრაფად ათვისებად წყაროს. ელექტროლიტების დამატება თავიდან აგვარიდებს გაუწყლოებას. პრეპარატი შეავსებს დაკარგულ მიკროელემენტებს და ნარმოადგენს ვიტამინების წყაროს. აქვს სასიამოვნო გემო და არომატი, რაც ხელს უწყობს აქტიურ მოხმარებას დაქვეითებული მაღის მქონე ცხოველებში.

Over Pectovit გამოიყენება ლეპივებში, ბოცვრებსა და ზღვის გოჭებში. შეძენა შესაძლებელია „როქის“ ვეტაფთიაქში (თბილის, ქეთევან ნამებულის №91-ის მოპირდაპირე მხარე. მეტრო – სამგორი).

3. მყავს ძალი, რომელსაც ჩშირად აქვს პროგლემები. აცხებს გადატანილი ოპერაციის შემდგომი ფაზისთვის, ჩშირად ცივდება და უზიანდება სასუნთქი როგორები. მთკიცებულად რეაგირებს ინდიციაზე. რა მოვიგვარებს ამ პროგლემებს?

„რიკარდას“ ტაბლეტი ხორცის არომატი წარმოადგენს არასტერონიდულ ანთების საწინააღმდეგო პრეპარატს. კარპროფენს, რომელიც შედის სამურნალო პრეპარატის შემადგენლობაში, ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწევი მოქმედება როგორც ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება ოპერაციის შემდგომ პერიოდში.

პრეპარატი გამოიყენება ინდივიდუალურად, პერიოდურად, კარპროფენი დღედამური დოზით 4.0 მგ/კგ-ზე, რომლის ორ ნაწილად გაყოფაა რეკომენდირებული. 7-დღიანი მკურნალობის შემდეგ, კლინიკური ნიშნების გათვალისწინებით დოზის შემცირება რეკომენდებულია 2 მგ/კგ-მდე. პრაქტიკული დოზა 1 აბი 12 კგ-ზე.

მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადების დროს დამოკიდებულია ცხოველის მდგომარეობაზე და განისაზღვრება მკურნალი ვეტერინარი ექიმის მიერ. შეძენა შესაძლებელია „როგის“ ვეტაფთიაქში (თბილისი, ქვეთევან წამებულის №91-ის მოპირდაპირე მხარე. მეტრო – სამგორი).

## ღვაცლი



### პიოლოგის ეპილეგათა დოქტორს, პროფესორ ქრისტო კახინაშვილს დაბადებიდან 70-ი წლი გაუსრულდა

ერისთო კახინაშვილი ცენტრალის რაიონის სოფელ კახეში 1949 წლის 24 აპრილს დაიბადა, მრავალვილიან ოჯახში. 1966 წელს მიღავა საშუალო სკოლა და იმავე წელს საეპიდო განაგრძელა, რომელიც 1971 წელს დაამთავრა წარჩინების დიალოგით. იმავე წელს სამსახურის სამინისტრო გასაბრძლებლად ს/კ ინსტიტუტი დაფინანსდა. 1971-72 წლ. ქრისტო კახინაშვილი სტაჟირების გასავლებლად მოსამავლის პახის პიოლოგიის ინსტიტუტი მიმდინარეობდა.

1979 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დურმიშნიდის ბიოქიმიის და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურის დასრულების შემდეგ, წარმატებით დაიცვა აგროეკოლოგიის პრობლემებზე (პესტიციდების ბიოქიმია) ჯერ ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1989 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1995 წელს იგი საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის სრულუფლებიან წევრად აირჩიეს.

1989 წელს ქრისტო კახინაშვილის თაოსნობით ბიოქიმიის და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში აგროეკოლოგიის ლაბორატორია დაარსა, რომელსაც 2006 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1991 წელს მან კოლეგებთან ერთად დააფუძნა აგროეკოლოგიის სამეცნიერო სანარმოო ცენტრი. გამოქვეყნებული აქვს 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 2 მონოგრაფია, რამდენიმე საავტორო გამოგონება და პროშურა აგროეკოლოგიის პრობლემებზე.

1995 წელს ქრისტო კახინაშვილი სამეცნიერო და სადისერტაციო საბ-

ჭოს წევრია და სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ბიოქიმიის ინსტიტუტში დარეგისტრირებულ სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელობს.

2006-209 წლებში იგი ადმინისტრაციულ სამსახურში-ცხინვალის ადმინისტრაციის სოფლის მეურნეობის და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პირველი მოადგილედ მუშაობს.

2009 წელს დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსალტგრუპი“, რომლის ძირითადი საქმიანობა აგრარულ საკითხებზე მიწათმოსარგებლეთა კონსულტირება გახლდათ.

2009 წლიდან შპს „აგროვიტას“ ინვაციური პროექტების მენეჯერია. პარტნიორებთან ერთად შექმნა და დაიწყო ახალი ტიპის, ეკოლოგიურად სუფთა ჰუმინურ-ორგანული სასუქის ნარმოება. ტექნოლოგია და სანარმოო მოდელი დაპატენტებულია და მიღებული აქვთ საავტორო უფლება.

2016 წელს დააფუძნდა დამოუკიდებელი კომპანია „აგროვიტა პროდაქშენი“, რომლის წარმოების ხელმძღვანელია დაარსების დღიდან.

ქრისტო კახინაშვილი წარმოების გარდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა, არის საქართველოს ეროვნული აკადემიის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების და ეკოლოგიის კომისიის წევრი, უურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და სისტემატიკურად აქვეყნებს პუბლიკაციებს სოფლის მეურნეობის და აგროეკოლოგიის პრობლემებზე.


ქრისტო კახინაშვილს ყავს ოთხი შვილი და როგორც თვითონ ამბობს ჯერჯერობით ექვსი შვილიშვილი.

უურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ უერთდება კოლეგების, მეგობრების მილოცვას და ბატონ ქრისტო კახინაშვილს ულოცავს 70 წლის იუბილეს, უსურვებს ხანგრძლივ შემოქმედებით საქმიანობასა და ოჯახურ ბედნიერებას.



# AGROTEKС®

გსურთ მიიღოთ აღრეული, საღი და უცვი მოსავალი?



გთავაზობთ უნიკალურ, ჰაერგამტარი მულჩის და დამცავი პალეოპის ფართო ყაორტიმენტს, რომელიც დაიცავს მცენარეს სარევალებისაგან, გადახურების, დამცვრობების და წაყინვისაგან, შეძლებს სასურველ კლიმატს მცენარის უკეთესი აღმოცვენებისა და განვითარებისათვის, გაგიზრდით მოსავლიანობას, დაგიზოგავთ დროს და თანხას.

პროდუქციის დეტალური გაცნობა შესაძლებელია კომპანიის შოუ რუმში, მისამართზე თბილისი, დიდუბე პლაზა პირველი სართული.

[WWW.AGROTEKS.RU.](http://WWW.AGROTEKS.RU)

დაგვიკავშირდით:  
599 529 529 / 599 761321;  
E-mail: tmikadze@yahoo.com




**AgroVitae**

# მცენარეთა დაცვის პირლოგიური საშუალებები



7. რედ ბლოკი – აქვს ფუნ-  
გიციდური მოქმედება სიდამპ-  
ლის წინააღმდეგ. დაშვებულია  
ორგანულ მეურნეობაში გამო-  
საყენებლად. შემადგენლობა:  
აზოტი – 8%; ორგანული ნახ-  
შირბადი – 3%;

6. ლისო ამინი – შემადგენ-  
ლობა: აზოტი – 8%; ორგანუ-  
ლი აზოტი – 7,5%; ორგანული  
ნახშირბადი – 33%; საერთო  
ამინომჟავები – 18%; თავი-  
სუფალი ამინომჟავები – 14%.  
დაშვებულია ორგანულ მეურ-  
ნეობაში გამოსაყენებლად.



8. ფირსტ სანი – წყალმ-  
ცენარეების ექსტრაქტი –  
20%; კალიუმი – 10%; კალ-  
ციუმი – 15%; ბორი – 0,2%;  
დაშვებულია ორგანულ  
მეურნეობაში გამოსაყენებ-  
ლად.



9. ჰანტერი SW – ორგანულ  
აზოტოვანი სასუქი, გამოიყე-  
ნება ნებატოდებისა და კონკუ-  
რენტების წინააღმდეგ. დაშვებუ-  
ლია ორგანულ მეურნეობაში  
გამოსაყენებლად. შემადგენ-  
ლობა: ორგანული აზოტი –  
1,5%; ორგანული ნახშირბადი  
– 10%; ნედლეული: ყავისფერი  
წყალმცენარეების საფუარის  
ექსტრაქტი.



შპს „ამროვიტა“, თბილისი, წერეთლის გამზ. 116,  
ტელ/ფაქსი: 2 341 678; მობ.: 597 170 703  
ელ.ფოსტა: agrovitae@gmail.com  
[www.agrovitafsc.com](http://www.agrovitafsc.com)